ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 72 (616) ოთხშაბათი, 7 აპრილი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 5 აპრილმა, ისე როგორც წინა დღეებმა მდინარე გუმისთაზე საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. მოწინააღმდეგე მხოლოდ 15 საათიდან გააქტიურდა.

პოზიციური ბრძოლა საათნახევარს გაგრძელდა. ამ ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ მცირე ხნით გააქტიურდნენ სნაიპერები, რომელთა ტყვიითაც დაიჭრა ერთი ჩვენი მებრძოლი.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, აქ მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები სოფელ ლაბრასთან, რომელთა დროს მოწინააღმდეგემ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის სახით. რაიმე ცვლილებები მოწინააღმდეგეების პოზიციურ განლაგებაში ამ ბრძოლებს არ მოჰყოლია.

იოსებ გოგეჩია.

* * *

აფხაზი სეპარატისტების ლიდერებმა 31 მარტს ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ტერიტორიაზე განლაგებულ ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს დაუგზავნეს ბრძანება. ამ ბრძანების საფუძველზე მათ თავიანთი კონტროლის არეში არსებულ საჰაერო სივრცეში გამოჩენისთანავე უნდა ჩამოაგდონ სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავები. ბრძანების შესრულებისათვის ამ ქვედანაყოფების უფროსებმა მოითხოვეს გამოუყონ მათ ახალი, უფრო ძლიერი საზენიტო საშუალებები, რადგან ძველი სისტემები არ არის ეფექტური დიდ სიმაღლეზე არსებული სამოქალაქო თვითმფრინავების ჩამოსაგდებად. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ დანაყოფებში ინსტრუქტაჟისათვის მივლინებული იყვნენ რუსეთის არმიის საჰაერო თავდაცვის ოფიცრები.

რუსეთის სატელევიზიო პროგრამა „ვესტში" გადაიცა ინფორმაცია ტყვარჩელის მიდამოებში დიდი რაოდენობით მომწამლავი გაზის — მეთანის დაგროვების შესახებ. რუსეთის წარმომადგენლები შეწუხებული არიან, რომ მაღაროებში ამდენი ხანია არ მიმდინარეობს სამუშაოები. და რომ, ამის გამო, გაზის რაოდენობამ კრიზისულ დონეს მიაღწია. თურმე ამის მიზეზი ყოფილა ტყვარჩელელების ბლოკადა ქართველების მიერ და ელექტროენერგიის უქონლობა. რუს ჟურნალისტებს ოღონდ იმის აღნიშვნა დაავიწყდათ, რომ ელექტროენერგიის მიუწოდებლობა გამოწვეულია აფხაზი ბოევიკების მიერ მოწყობილი დივერსიებით. უკვე დიდი ხანია საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მიაღწიოს შეთანხმებას, რომ ბლოკირებულ ქალაქს მიაწოდონ ელექტროენერგია, მაგრამ მოთარეშე ექსტრემისტები საქენერგოს მუშაკებს არ აძლევენ საშუალებას აღადგინონ ელექტროენერგიის გადამცემი ხაზი სოხუმი-ოჩამჩირე-ტყვარჩელის ტრასაზე.

კონტაქტი.

* * *

6 აპრილს სოხუმში შედგა შეხვედრა გუდაუთის დაჯგუფების წარმომადგენლებთან ქართველი მოსახლეობის გამოყვანის საკითხთან დაკავშირებით. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში გადაწყდება ქართველი მოსახლეობის გამოყვანა გუდაუთის დაჯგუფების კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიიდან.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

გაერო მხარს უჭერს საქართველოს

1993 წლის თებერვალ-მარტში ჟენევაში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მორიგი სესია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინიციატივით კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც სესიის დღის წესრიგში 21-ე პუნქტად იყო შეტანილი. მოგვყავს ამ რეზოლუციის ტექსტი.

დახმარების გაწევა საქართველოს რესპუბლიკისათვის ადამიანის უფლებათა საკითხებში

ადამიანის უფლებათა კომისია

ხელმძღვანელობს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დებულებების პრინციპებით,

ესმის რა საკუთარი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა განვითარებისა და დაცვის საქმეში,

ეყრდნობა რა გენერალური ასამბლეის 1955 წლის 14 დეკემბრის 926 რეზოლუციას, რომელშიც ასამბლეამ ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებათა დარგში გაერთიანებული ერების საკონსულტაციო სამსახურების პროგრამა და ადამიანის უფლებათა კომისიის 1992/80 რეზოლუციას (საკონსულტაციო სამსახურები და ნებაყოფლობითი ფონდი),

შეშფოთებულია რა იმ სერიოზული მდგომარეობით, რომელიც იწვევს საქართველოს მოსახლეობის (აფხაზეთის ჩათვლით) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევებს,

კმაყოფილებით აღნიშნავს რა გაეროს ხაზით საქართველოში წარგზავნილი მისიების ძალისხმევას,

აგრეთვე **კმაყოფილებით აღნიშნავს** რა ევროთათბირის ახლანდელი თავმჯდომარის პირადი წარმომადგენლისა და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მისი მისიების საქმიანობას, და ითვალისწინებს რა ყველა ამ მოქმედებათა მჭიდრო კოორდინაციის აუცილებლობას,

1. **ცნობს** საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, მიმართულს მთელი მოსახლეობის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უზრუნველსაყოფად;

2. **დაბეჯითებით სთხოვს** საქართველოს მთავრობას და აფხაზეთის ხელმძღვანელობას გააძლიერონ ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს მთელი მოსახლეობის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, მათ შორის, ყველა უშიშროების ძალების მიერ;

3. **მიესალმება** საქართველოს მთავრობის მიერ დასახულ მიმართულებას დემოკრატიზაციისაკენ;

4. **მხარს უჭერს** საქართველოს მთავრობას დემოკრატიზაციის პროცესის განვითარების (არჩევნების ჩათვლით) და საქართველოს მთელი მოსახლეობის ადამიანის უფლებათა სრული დაცვის გარანტირებისა და უზრუნველყოფის საქმეში;

5. **მიმართავს** საქართველოს მთავრობას შეიმუშაოს შემდგომი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებები ძალადობის აღსაკვეთად, მათ შორის, ღონისძიებები უკანონო სამხედრო ფორმირებათა დასაშლელად;

6. **მიესალმება** საქართველოს მთავრობის მიერ გამოთქმულ დაინტერესებას ადამიანის უფლებათა საკითხში მხარდაჭერისა და ტექნიკური დახმარების მიღებით, მათ შორის, უმცირესობათა შესახებ კანონიერი მექანიზმებისა და კონსტიტუციური დებულებების შემუშავების საქმეში, აგრეთვე დახმარებით ეროვნული არჩევნების ჩატარებაში;

7. **მოუწოდებს** გენერალურ მდივანს შეაფასოს საქართველოს მთავრობის ინტერესი ადამიანის უფლებათა დარგში მხარდაჭერისა და ტექნიკური დახმარების მიღების საკითხში საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით, რომლის მიზანიც იქნება კონსტიტუციური და ადმინისტრაციული კანონმდებლობის განვითარება და სახელმწიფო და ადგილობრივი ინსტიტუტების უზრუნველყოფა საჭირო საექსპერტო დახმარებით ადამიანის, მათ შორის, უმცირესობის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობასა და მოქალაქეებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

8. **იღებს გადაწყვეტილებას** კიდევ ერთხელ განიხილოს ეს საკითხი 50-ე სესიაზე.

კომპრომისი... ვის ხარჯზე?!

დროის ფლანგვის დიდოსტატი საქართველოს პარლამენტი 6 აპრილის დილითაც ჩვეულ ფორმაშია — იმართება მორიგი აურზაური მორიგი არაფრის გამო. ორიოდე საათში საქართველოს დელეგაცია მიფრინავს სოჭში რუსეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის. წინასწარ შემუშავებულია რამდენიმე დადგენილება, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ჩვენმა დელეგაციამ მოლაპარაკების დროს. აურზაური ჯერ იმის გამო გაიმართა, თუ რომელი მათგანი მოესმინათ უპირველესად, ხოლო შემდეგ — უამრავი დეტალი და ნიუანსი იქცა ბჭობის საგნად.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ზოგადად მოახსენა პარლამენტს, თუ რა საკითხებზე იმსჯელებენ სოჭის მოლაპარაკებაზე, ეს არის: 1. აფხაზეთის საკითხი, კერძოდ, რუსის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან; 2. რუსეთის ჯარების სტატუსის განსაზღვრა და მათი საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის საბოლოო ვადების დადგენა, და 3. სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო-საბანკო ურთიერთობების მოგვარება. მაგრამ ეს, თურმე ნუ იტყვით, საკმარისი არ არის — მოლაპარაკებისას ყველას თვალთახედვა უნდა იქნას გათვალისწინებული. მაგალითად, ირაკლი წერეთლისა — რუსეთთან ურთიერთობის ერთადერთი ენა ულტიმატუმის ენაა. მისი ჯარი უნდა წავიდეს საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ. მორჩა და გათავდა! ამას მოყვა მცირე გადაძახილი ამ წინადადების ავტორსა და ბატონ ჯაბა იოსელიანს შორის:

ჯ. ი. — ეგ მოლაპარაკება აღარ არის, ირაკლი, ეგ მიტინგია. თუ ულტიმატუმი გვინდა, რაღას მივდივართ სოჭში, აქედან შევუთვალოთ ჩვენი მოთხოვნები.

ი. წ. — რას ველოლიავებით, მკაცრად მოვთხოვოთ საოკუპაციო ჯარს, წავიდეს აქედან.

ჯ. ი. — რომ არ წავიდეს?

ი. წ. — მოკლე ვადები დავუნიშნოთ.

ჯ. ი. მაინც რომ არ დაგვიჯერონ? სამი თვის შემდეგაც რომ არ წავიდნენ მერე?

მერე? ამის პასუხი ირაკლი წერეთელს აღარ აღმოაჩნდა. კითხვაზე პასუხი სახელმწიფოს მეთაურმა გასცა: საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გამწვავებას შეიძლება ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვეს. ეს ყველა ნორმალური ადამიანისათვის გასაგები უნდა იყოს, ისევე, როგორც გასაგები უნდა იყოს ყოველი დოკუმენტის — დადგენილების, განცხადების, დეკლარაციის ადგილი და მნიშვნელობა.

— განცხადებით მივმართოთ გაეროს! — ისეთი ტონით მოითხოვს მავანი მიკროფონთან, თითქოს განცხადება ან დეკლარაცია პანაცეა იყოს და ვისმე თავისი სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის ერთი ფარატინა ქაღალდის გაგზავნა ეზარებოდეს ოკეანის გაღმა.

კიდევ ერთი რეალობა ასეთია: ელცინ-კლინტონის შეხვედრისას საქართველოს პრობლემაზეც იყო საუბარი. აღინიშნა, რომ ამერიკის მხარე ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს თითქოსდა სახავს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების რეალურ გზებს.

და, ღმერთო შეგცოდე, ისეთი გრძნობა მრჩება, ეს აჟიოტაჟი ქუდების მოპოვებისათვის ბრძოლას უფრო წააგავს, ვიდრე უფრო დიდი იდეალისათვის ღვწას. თუ ვცოდავ, უფალი დამსჯის ამ მძიმე მარხვაში.

ამ სხდომის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა ვთხოვე პარლამენტარს, პროფესორ **ზურაბ მამულიას**:

— ჩვენი პარლამენტი, სამწუხაროდ, ჩვენივე საზოგადოებრივ მდგომარეობას ასახავს. ამის გამო, მას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩვენ საზოგადოებაში ცოტა როდი არიან ისინი, რომლებიც რეალისტურად ვერ უყურებენ მოვლენების განვითარებას და ხშირად თავის არაპროფესიონალიზმს პატრიოტული ფრაზეოლოგიით ნიღბავენ. ჩემი აზრით, პატრიოტული აჟიოტაჟის ატეხვა სრულიად უაზრო და უადგილოა. ამ შემთხვევაშიც, — დღევანდელი სხდომა მაქვს მხედველობაში, — ეს აჟიოტაჟი მხოლოდ ამცირებს ჩვენი დელეგაციის მნიშვნელობას სოჭის მოლაპარაკებაზე. პარლამენტის მხრივ დადგენილებების სახით დელეგაციის შებოჭვა მხოლოდ ზიანის მომტანია. დელეგაციას მოლაპარაკების დროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მანევრირების, აქცენტების გადაადგილების საშუალება, ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, როდესაც ერთი მხარე გრძნობს, რომ მეორე მხარე დიქტატის ქვეშ იმყოფება, მოლაპარაკების პროცესისადმი ინტერესი ეკარგება, რამაც საბოლოო ანგარიშით მოლაპარაკება უნაყოფო შეიძლება გახადოს.

ჩვენ ხშირად არ გვყოფნის პოლიტიკური სიმწიფე, გვაკლია საღი აზრი. ეს მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ სხდომას არ შეეხება, საერთოდ, მოგახსენებთ, საღი აზრის სისუსტე ჩვენი საერთო ეროვნული ნაკლია, აქედან გამომდინარე, — პარლამენტისაც, რეალისტურის ნაცვლად ჩვენში რაღაცნაირი მითოლოგიზებული აზროვნება ბატონობს, რომელიც სიმბოლოებისადმი მაგიურ გამოკიდებებში გამოიხატება. დღევანდელი სხდომა ამის ნათელი დასტურია, კიდევ კარგი, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა საღმა აზრმა....

სხდომა კი ასე დამთავრდა. საკითხი დადგა ამგვარად: ვენდობით თუ არა დელეგაციას, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით, აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან? ხმათა უმეტესობით, ნდობის ვოტუმი გაცემულ იქნა.

რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა კომპრომისია ჩვენი მხრიდანო, ბატონმა ნოდარ ნათაძემ თქვა თავის გამოსვლაში. რუსეთში, ალბათ, ცოტა სხვაგვარად ფიქრობენ ამ საკითხზე. ის კი, რას ფიქრობენ რუსეთში, სამწუხაროდ, სულაც არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რასაც ვფიქრობთ ჩვენ და გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სწორედ იმ რეალობიდან გამომდინარე უნდა შევხედოთ ამ პრობლემასაც, რომლის გათვალისწინება ხან არ გვინდა, ხან ვერ ვახერხებთ.

გალინა ხარებაშვილი.
„საქართველოს რესპუბლიკის"
საპარლამენტო კორესპონდენტი.

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

ვიყოთ რეალისტები, ობიექტურად შევაფასოთ სინამდვილე

პარლამენტარების თხოვნით, სხდომაზე მოიწვიეს ქალაქის მერი კოტე გაბაშვილი და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი თემურ ხაჩიშვილი. მათ უპასუხეს პარლამენტარების შეკითხვებს 5 აპრილის მიტინგის აღკვეთის თაობაზე.

ბატონებმა კოტე გაბაშვილმა და თემურ ხაჩიშვილმა განაცხადეს, რომ აღნიშნული მიტინგი არ იყო ქალაქის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული. ამასთან, იგი აფერხებდა ტრანსპორტის მოძრაობას, იწვევდა ცენტრალური მაგისტრალის პარალიზებას, და, რაც მთავარია, იგი შეიძლება გამხდარიყო დესტაბილიზაციის გამომწვევი ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით, სხდომაზე წაიკითხეს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება მიტინგების, დემონსტრაციების, სხვა პოლიტიკური აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ. ითქვა, რომ კანონს უნდა ჰქონდეს კანონის ძალა და მას ყველამ პატივი უნდა სცეს. რადგან, აღნიშნული მიტინგი, უკანონო იყო, პოლიცია ვალდებული იყო, აეკვეთა იგი და ასეც მოიქცა.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს საუბარი შეეხო იმასაც, თუ როგორ აღვნიშნოთ 9 აპრილი — დაღუპულთა ხსოვნისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ**. მან თქვა:

მე ცოტა სხვანაირად მინდა დავიწყო ჩემი გამოსვლა. და პირველ რიგში, მივმართო იმ მოქალაქეებს, თანამოქალაქეებს, რომლებსაც ახლა საშინლად უჭირთ, შიმშილობენ, სამუშაო არა აქვთ და ხვალის იმედიც არ არის გამოკვეთილი. მივმართო იმ ხალხს, ვისაც 5-6 თვეა ხელფასი არ მიუღია და მაინც ქუჩაში არ გამოდის, დემონსტრაციებსა და მიტინგებს არ აწყობს. მადლობა თქვენ, ასეთი სულგრძელობისათვის, მოქალაქეობრიობის იმ პასუხისმგებლობისათვის, რომელსაც თქვენ გრძნობთ, ამ მოთმინებისათვის. მე მივმართავ მადლობის სიტყვებით იმ ადამიანებს, ვინც პურის საკმაოდ გრძელი რიგებიდან, რომლებიც ბევრ შემთხვევაში შეიძლება მიტინგებზე უფრო მრავალრიცხოვანიც კი იყოს, პირდაპირ დემონსტრაციებზე არ მიდის და მეორე დღეს ისევ იმ რიგში დგება. მადლობელი ვარ თქვენი.

უდიდესი მადლობის სიტყვებით მივმართავ მოკლულთა, დაღუპულთა, დაჭრილთა დედებს, რომლებიც ქარვების გამართვაზე არ ფიქრობენ, შიმშილს არ აცხადებენ და კვლავ საქართველოს ბედზე ფიქრობენ. ათობით ოჯახში ვარ ნამყოფი და ერთი დედის საყვედური არ მომისმენია, შვილი რატომ დამეღუპაო. ასე ამბობენ მხოლოდ — ეს იყოს ბოლოო. მადლობელი ვარ თქვენი სულგრძელობის, დიდი ადამიანობისთვის. რომ თქვენ არა, საქართველო მართლაც მიწასთან იქნებოდა გასწორებული.

კუპონების შემოღებაზე როცა ილაპარაკა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: ამის გამო არსად, საქართველოს არცერთ კუთხეში, ქალაქში, სოფელში, არცერთი მიტინგი, დემონსტრაცია არ მოუწყვიათ. გვიჭირს, მაგრამ ამასაც ავიტანთო, აცხადებენ ისინი. ამასწინათ, გორში პედაგოგებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

მე მათ პატარა ბარათი გავუგზავნე, ავუხსენი მდგომარეობა, მათ შეწყვიტეს აქცია. მადლობელი ვარ თქვენი, გორელებო, ყველამ ვიცით, როგორ გვიჭირს და იმისათვის, რომ ასეთი სულგრძელები ხართ და მოთმინებით ელოდებით ხვალინდელ დღეს, მადლობას მოგახსენებთ.

მე მივესალმები მას, რაც თავშივე თქვა ბატონმა ნოდარ ნათაძემ: არავითარი არასტაბილურობა, როგორი გრძნობითაც არ უნდა ხელმძღვანელობდნენ მისი მომწყობნი, საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ უკანონობა გავამართლო. უკანონობა, ვინც არ უნდა სჩადიოდეს მას, უნდა დაისაჯოს. მაგრამ ასევე უკანონობა არ შეიძლება დაუსჯელი იყოს, როცა ამას ადგილი აქვს მოქალაქეთა მხრიდან.

კანონებს ყველამ პატივი უნდა სცეს.

სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა 5 აპრილს აღკვეთილ მიტინგზე. სახელმწიფო საბჭოში ამ დეკრეტს რომ ვამზადებდით, თქვა მან, მაშინ იმ კუთხით არ ვუყურებდით მას, როგორადაც დღეს. იმ ხანად ადგილი ჰქონდა მიტინგების დარბევებს და ვცდილობდით, როგორმე დაგვეკანონებინა მიტინგი, როგორმე გამოგვეკვეთა, რომ იგი რეგისტრირებულია, ადგილი გამოყოფილია. ასეთ შემთხვევაში მიტინგი სახელმწიფომ, პოლიციამ უნდა დაიცვას, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება პასუხს აგებს მის უსაფრთხოებაზე. იქნებ მოვიდეს სხვა დრო, როცა მიტინგისათვის არავითარი რეგლამენტი არ დაგვჭირდება, ახლა კი იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს უფლება, მიტინგზე წავიდეს, მოწესრიგება სჭირდება.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მიტინგის მოწყობა, ცენტრალურ მაგისტრალზე მსვლელობა, ნებადაურთველად არ შეიძლება. ისედაც გაწამებულ ადამიანებს, 5-6 საათის შემდეგ ქუჩაში რომ ვერ გამოდიან, მთავარ მაგისტრალს უკეტავ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოხვიდე მიტინგზე და სიტყვა წარმოთქვა, გაუმართლებელია. არიან ადამიანები, რომლებსაც ავადმყოფი ჰყავს, ზოგს ბავშვი ჰყავს ბაღიდან გამოსაყვანი, შინ ეჩქარება. ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია. თუ ძალიან გვწყურია მიტინგის გამართვა, ამისათვის გამოყოფილია რიყე და არავითარ შემთხვევაში ცენტრალური მაგისტრალი. ჩვენ გავმართეთ შერიგების დღე რიყეზე და, თუ ახლანდელ მომიტინგეებს სურთ ხალხის გამოყვანა, მივიდნენ რიყეზე და ილაპარაკონ, მხოლოდ არა ისე, რომ მოუწოდებდნენ არსებული ხელისუფლების დამხობისაკენ. ამის უფლებას არავის მივცემთ, პოლიციამ ის ხელისუფლება უნდა დაიცვას, რომელიც კანონიერია. თუ არ დაიცავს, ასეთი პოლიცია არ სჭირდება სახელმწიფოს. გთხოვთ მეტი გაგებით და თანაგრძნობით შეხედოთ იმ ხალხს, ვისაც ჩავაბარეთ უზარმაზარი საქმე, მე ბატონ კოტე გაბაშვილზე მოგახსენებთ. არ ვიცი, ამ კაცს როდის სძინავს და სძინავს თუ არა საერთოდ. გავუწიოთ მას ანგარიში, დავაფასოთ მისი შრომა.

სახელმწიფოს მეთაურმა არაერთი ფაქტი დაასახელა ქალაქის მერის დაუღალავი მეცადინეობისა, რომ თბილისის მოსახლეობას თავის დროზე ჰქონდეს პური, რომ ქალაქში იყოს სიმშვიდე და სხვა.

როცა პოლიციის მუშაობის ბოლოდროინდელ პერიოდს შეეხო, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ტრასებზე აღინიშნება წესრიგის დამყარების ტენდენცია. პოლიცია, ისე როგორც ჯარი ეროვნული ატრიბუტია და მას ჩვენი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება. უამისოდ არაფერი გამოვა.

იტყვით, რა მოხდა ასეთი, კოსტავას ქუჩაში ორმოცი კაცი რომ შეეშვათ და ამით დამთავრდებოდა ყველაფერიო. როგორ გაითვალისწინოს ეს პოლიციამ, როცა ამდენი იარაღიანი კაცი დათარეშობს ქალაქში... ოპონენტები მერე იტყვიან, სად იყო ხელისუფლებაო. მაშინ, ნება მიბოძეთ, გავკითხო ის, რასაც ითვალისწინებს კანონი. ერთნაირი პასუხისმგებლობით მოვკიდოთ ხელი ყველაფერს. რაც მოხდა გუშინ, ეს ჯერ არ მომხდარა — მიტინგის მონაწილეები წავიდნენ ამერიკის საელჩოსთან და იქ გააგრძელეს თავისი ღონისძიება. შესაძლოა, არაჩვეულებრივი ამაში არაფერი იყოს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ასეთი რამ ხდება, მაგრამ იქ სხვა ამბავია. იქ პოლიცია დღეღამეს გააკეთებს და გარანტირებულია უსაფრთხოება. ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენ ლუკმაპურს გვიგზავნის და ახლა ისღა გვაკლია, რომ საელჩოც დაუგრბიონ. მე პირველი დავდგები იქ და ამის უფლებას არავის მივცემ. ეს უმართავი პროცესი დაღუპვის კარამდე მიიყვანს საქართველოს. კანონისა და წესის ფარგლებში ვისაც რამდენიც უნდა, იმდენი ილაპარაკოს.

მინდა ვთხოვო პარლამენტს, ყველა თქვენგანს, ეს მწვავე საკითხია, ძალიან ცუდი მაჩვენებელია, რომ მიტინგის აღკვეთაზე ვლაპარაკობთ. აქამდე რომ არ მივიდეს საქმე, მოდით, ყველამ ერთად მივმართოთ ჩვენს ოპონენტებს: ნუ შეგვიშლით ხელს, რომ ქვეყანა ქვეყანას დავამსგავსოთ, ომი დავამთავროთ.

ცოტა მეტი რაციონალურობა უნდა გამოვიჩინოთ მუშაობაში. დღეს განსახილველი გვაქვს საპრივატიზაციო საკითხი. ეს სასწრაფო ამბავია, აქტუალურია, ასევე სხვა საკითხებიც. ვთხოვ პარლამენტარებს, მიიღოთ კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ჩავატაროთ არჩევნები, ვისაც ხალხი ნდობას გამოუცხადებს აირჩიოს და იმუშაოს. დრო დავზოგოთ და ხალხის გასაჭირი მივიტანოთ გულთან, ვიმუშაოთ და ვიმოქმედოთ ისე, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა გაგებით მოეკიდოს ჩვენს ნაბიჯებს.

შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლების დელეგირების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვას.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

ნომერში

◉ მივხედოთ სოფელს, ანუ მეურნე კაცის გულისტკივილი. 3

◉ „აუცერით..." ერის ინტელექტს... 4

გადაწყვეტილია შეწყდეს ცეცხლი მოლაპარაკების დროს

აფხაზეთის კონფლიქტი, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების სტატუსი და ყოფნის ვადა, აგრეთვე ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა — ასეთია იმ საკითხების წრე, რომლებიც საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების დღის წესრიგში დგას. მოლაპარაკება 6 აპრილს დაიწყო სოჭის სასტუმრო კომპლექს „ჟემჩუჟინაში". საქართველოს მთავრობის დელეგაციას მეთაურობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **თენგიზ სიგუა**, რუსეთის მთავრობის დელეგაციას — რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი **პაველ გრაჩოვი**.

ნაშუადღევს გამართულ პირველ პლენარულ სხდომაზე პაველ გრაჩოვმა ჩამოაყალიბა რუსეთის მხარის პოზიცია.

— აფხაზეთი, — თქვა მან, — საქართველოს განუყოფელი ნაწილია და სხვა აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ აფხაზეთის კონფლიქტის გადასაჭრელად, უწინარესად, საჭიროა მივაღწიოთ ცეცხლის შეწყვეტას.

ჩვენს დელეგაციას — განაგრძო მან, — რომელშიც შედიან თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროების ხელმძღვანელები, რუსეთის პრეზიდენტისა და მთავრობისაგან მინიჭებული აქვს ყველა უფლებამოსილება მოლაპარაკებაზე მდგომი ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად. ჩვენი მიზანია ყველაფერი ვიღონოთ, რათა მოვამზადოთ უმაღლესი დონის შეხვედრა.

უარი უნდა ვთქვათ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიებსა და საყვედურებზე. უნდა აღვადგინოთ ჩვენი ხალხების კეთილი და მეგობრული ურთიერთობა, შევცვალოთ საზოგადოებრივი კლიმატი. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ორივე ქვეყნის პარლამენტების დეპუტატებმა, პრესამ, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, — თქვა პ. გრაჩოვმა.

თავის გამოსვლაში თენგიზ სიგუამ აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ჩვენი ხალხების კეთილი ნების კიდევ ერთი დადასტურებაა და გამოთქვა რწმენა, რომ იგი დიდ როლს შეასრულებს ორი ხალხის საუკუნოვანი გულწრფელი ურთიერთობის აღდგენაში. სამწუხაროდ, რუსეთის გარკვეული ძალები ხელოვნურ წინაღობებს ქმნიან ურთიერთობის გასამწვავებლად. უნდა მოიხსნას ყველა ბარიერი, — განაგრძო მან, — და უწინარესად გადაწყდეს აფხაზეთის პრობლემა.

საქართველო მზად არის თუნდაც დღეს მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას იმ პირობით, რომ განუხრელად შესრულდება 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი ფუძემდებელი დოკუმენტის დებულებანი.

აფხაზეთის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას, მაგრამ მოსკოვის შეთანხმების რეჟიმის გარეშე.

რუსეთის პარლამენტის გადაწყვეტილება — არ აწარმოონ საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური მოლაპარაკება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე, „წითელ-მიხაკისფერი" ძალების მიერ არის თავსმოხვეული და ჩვენ ეს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევად მიგვაჩნია, ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა სიგუამ. მხარეებმა გადაწყვიტეს შექმნან მოლაპარაკებაზე სამი ჯგუფი: სამხედრო საკითხების, რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელთა შეხვედრის და დიდი ხელშეკრულების დადებისათვის წინადადებათა შემუშავების, ეკონომიკურ-ფინანსური საკითხების ჯგუფები.

პლენარულ სხდომაზე შეეხნენ სამაჩაბლოში საქმის ვითარების მოწესრიგების საკითხსაც.

ძირითადი საკითხების განხილვის დაწყებამდე მხარეთა ორმხრივი თანხმობით გადაწყდა სოჭის მოლაპარაკების დროს შეწყდეს სამხედრო მოქმედება სოხუმის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის ზონებში — 6 აპრილის 20 საათიდან და ამ ხნის განმავლობაში მკაცრად დაფიქსირდეს ორივე მხრივ ყოველგვარი დარღვევები. საქართველოს ჯარებს შესაბამისი ბრძანება მისცა რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა, პაველ გრაჩოვმა კი იკისრა ვალდებულება გადასცეს ეს გადაწყვეტილება ვლადისლავ არძინბას და გაუწიოს შუამავლის ფუნქციები.

7 აპრილს მოლაპარაკება გაგრძელდება.

გ. ჩიქოვანი,
ვ. თავაძე,
ა. სანებლიძე.

უკრაინაში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის წინ

6 აპრილს თბილისიდან კიევს გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, რათა მოამზადოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში. ვიზიტი 11 აპრილისათვის არის დასახული. დელეგაციაში შედიან სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომლები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები.

საქართველოს დელეგაციის პორტფელში დოკუმენტების დიდი პაკეტია, რომლებშიც ორი მეგობარი ქვეყნის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა მხარეს მოიცავს. ვარაუდობენ, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის დროს ხელმოწერილი იქნება ყოვლისმომცველი ხელშეკრულება საქართველოსა და უკრაინის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ოცამდე შეთანხმება, მათ შორის დეკლარაცია ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლების თაობაზე, საპარლამენტთაშორისო შეთანხმება, ხელშეკრულებანი საბაჟო სამსახურის, ტრანსპორტის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში ურთიერთობის, საკუთრების უფლებათა ცნობისა და საკუთრებრივი ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ, საკონსულო კონვენცია, ოქმი ორი ქვეყნის სამინისტროთა შორის კონსულტაციების თაობაზე და სხვ.

ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრის განცხადება

ამა წლის 5 აპრილს საქინფორმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ლაპარაკია გორის სასწავლო სამხედრო ცენტრის შესახებ, კერძოდ, იმაზე, რომ „უმადურმა" ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებმა სტუმართმოყვარეობა იმით „გადაიხადეს", რომ დატოვეს გაძარცული სამხედრო ქალაქი, სადაც განადგურებულია პარკები, მწყობრიდან არის გამოყვანილი გასათბობის სისტემები, სასაწყობო მეურნეობა და სხვა. მაგრამ ფაქტები, როგორც იტყვიან ჯიუტია, და საწინააღმდეგოს მოწმობენ.

ეს სამხედრო ქალაქი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კომისიას 1992 წლის აგვისტო-სექტემბერში კარგ მდგომარეობაში გადაეცა. ამას მოწმობს ხელმოწერილი და ბეჭდებდასმული მიღების აქტები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბშია. პრეტენზიები რუსეთის მხარისათვის წაყენებული არ ყოფილა. და პოდპოლკოვნიკმა გიორგი იუკურიძემ, რომელიც ინტერვიუს აძლევს საქინფორმის კორესპონდენტებს, შესანიშნავად იცის ეს, რადგან იმ დროს თავად მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. ხოლო თუ რატომ აღმოჩნდა ჩინებული სამხედრო ბაზა ესოდენ სავალალო მდგომარეობაში, საქინფორმის ჟურნალისტები ამის თაობაზე იმ პასუხისმგებელ პირებს უნდა შეეკითხონ, რომლებმაც იგი ჩაიბარეს. შემდეგ კი ბედის ანაბარა მიატოვეს და გაძარცვინეს. გვინდა ვიკითხოთ, სად არის შესანიშნავი საპარკე მოწყობილობა, რა მოუვიდა ტანკების წყალქვეშა ტარების ორ აუზს, ვინ ცხოვრობს ექვსი საცხოვრებელი სახლის ბინებში და ა. შ.?

გარდა ამისა, ინფორმაციის მიზნით გაცნობებთ, რომ როგორც ჩანს, ანალოგიური ბედი ელის რუსეთის ჯარების კიდევ 43 სამხედრო ობიექტს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს უნდა გადაეცეს, რადგან მათ არავინ არ იღებს და არ იცავს. ისინი ნელა, მაგრამ სულ უფრო ინგრევა და იძარცვება. ეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის არაერთგზის უცნობებია ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ჯგუფის ხელმძღვანელობას. სწორედ ამაზე ილაპარაკა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ბორის ლიუკოვმა ამა წლის 23 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲗᲐᲕᲘ I

ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ

მუხლი 1. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოები ამავე დროს წარმოადგენენ ადგილობრივ ხელისუფლებას და უზრუნველყოფენ პიროვნების თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, მისი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა უფლებების განხორციელების პირობებს თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად იცავენ საზოგადოებრივ წესრიგსა და საკუთრებას.

მუხლი 2. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებით, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოები ხელმძღვანელობენ აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით და მთავრობათა დადგენილებებით.

მუხლი 3. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცი და ხმოსანთა კრება.

მუხლი 4. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ.

მუხლი 5. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოების სახსრები ყალიბდება ადგილობრივი გადასახადებისა და გადასახდელებისაგან, აგრეთვე რეგიონული და რესპუბლიკური დოტაციებისაგან, სუბსიდიებისაგან და სუბვენციებისაგან, სესხებისაგან და შემოწირულობებისაგან, რომლებიც თავს იყრიან ადგილობრივ ბიუჯეტში და რომელთა განკარგვის წესს განსაზღვრავს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრება.

მუხლი 6. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოები გადაწყვეტილებებს იღებენ ამ კანონის შესაბამისად და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 7. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, გაუქმება, გაერთიანება, დაბის (მუნიციპალური ქალაქის) საზღვრების დადგენა და შეცვლა, დაბისათვის (მუნიციპალური ქალაქისათვის) სახელწოდების მინიჭება და გამოცვლა, აგრეთვე დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ერთი რეგიონიდან მეორისათვის გადაცემა ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. შენობაზე, სადაც განთავსებული არიან დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოები, მუდმივად აღმართულია საქართველოს დროშა.

მუხლი 9. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით და აქვთ დამტკიცებული ნიმუშის გერბიანი ბეჭედი.

ᲗᲐᲕᲘ II

ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲜᲘ

1. ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

მუხლი 10. ხმოსანთა კრება წარმოადგენს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს.

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრება განიხილავს და ამტკიცებს:

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) განვითარების პროგრამასა და ბიუჯეტს;

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს;

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგიის გადაწყვეტილებებს;

ადგილობრივ გადასახადებსა და გადასახდელებს, ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ტერიტორიაზე მიწითა და ტყით სარგებლობის, საერთო სარგებლობის წიაღისეულის გამოყენების, ბუნების დაცვის ღონისძიებათა, ნადირობისა და თევზჭერის, სარეწაო საქმიანობის, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სამეურნეო საქმიანობის, მშენებლობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების, საერთო წყალსარგებლობის პირობებს;

სხვადასხვა საკითხების შესწავლის მიზნით დროებითი და მუდმივი კომისიების შემადგენლობას, რომლებიც ხელს უწყობენ დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებას;

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის აპარატის საშტატო განრიგსა და დებულებას;

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) სახელით მიცემულ დაკვეთებს და მათი შესრულების ანგარიშს.

2. ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲘ

მუხლი 11. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცი არის დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხელმძღვანელი.

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცი:

თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ კანონის ფარგლებში;

უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აქტებისა და დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ახდენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას;

მოქალაქეებს აძლევს პიროვნების, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საბუთებს;

აყალიბებს მუნიციპალურ პოლიციას და კოორდინაციას უწევს მის საქმიანობას;

იღებს ზომებს სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციისათვის;

ახორციელებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს;

რეგისტრაციაში ატარებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ტერიტორიაზე შექმნილ სამეურნეო ორგანიზაციებს;

შეიმუშავებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) განვითარების პროგრამას და ბიუჯეტს, წარუდგენს მათ ხმოსანთა კრებას;

ისმენს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ანგარიშს;

განკარგავს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ბიუჯეტს, კრედიტს, მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებს;

განკარგავს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) საკუთრებაში არსებულ ქონებას;

უზრუნველყოფს სტატისტიკურ მონაცემთა საინფორმაციო ბანკის შექმნას;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ტერიტორიაზე მიწითა და ტყით სარგებლობის, საერთო სარგებლობის წიაღისეულის გამოყენების, ბუნების დაცვის ღონისძიებათა, ნადირობისა და თევზჭერის, სარეწაო საქმიანობის, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სამეურნეო საქმიანობის, მშენებლობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების, საერთო წყალსარგებლობის პირობებს;

აყალიბებს და ხელმძღვანელობს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოს აპარატს;

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) სახელით აძლევს და განკარგავს დაკვეთებს და იბარებს მათი შესრულების ანგარიშს;

საკონტრაქტო ხელშეკრულების საფუძველზე იწვევს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და საკონტრაქტო ხელშეკრულებას დასამტკიცებლად წარუდგენს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგიას;

საკონტრაქტო ხელშეკრულების გარშემო წარმოქმნილი დავა წყდება სასამართლო წესით.

3. ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მუხლი 12. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია ხმოსანთა კრების წინაშე და ახორციელებს დაბის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრებებს შორის პერიოდში.

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგია:

კოორდინაციას უწევს დროებითი და მუდმივი კომისიების საქმიანობას;

იწვევს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრებას.

ამტკიცებს ქუჩების, პარკების, მოედნების, სკვერების სახელებს და აწესებს ნუმერაციას;

ამტკიცებს საკონტრაქტო ხელშეკრულებას დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცსა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ პირთა შორის.

ᲗᲐᲕᲘ III

ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

1. ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

მუხლი 13. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრება აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, დაბის (მუნიციპალური ქალაქის) საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების მიერ.

მუხლი 14. დაბაში (მუნიციპალურ ქალაქში) ყოველ 500 ამომრჩეველზე აირჩევა ერთი ხმოსანი.

მუხლი 15. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრება მოიწვევა არჩევნების ჩატარებიდან ორი კვირის ვადაში და შემდგომ წელიწადში სულ ცოტა ორჯერ.

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრება მოიწვევა აგრეთვე დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კოლეგიის, დაბის ხმოსანთა 1/3-ის, დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცის, დაბის საარჩევნო უფლების მქონე მცხოვრებთა 1/10-ის მოთხოვნით.

მუხლი 16. ხმოსანთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმოსანთა უბრალო უმრავლესობა.

მუხლი 17. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების მოწვევის დროსა და ჩატარების ადგილს, აგრეთვე განსახილველად შეტანილ საკითხებს ადგენს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგიის მდივანი და მოსახლეობას აცნობებს კრების ჩატარებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.

მუხლი 18. ხმოსანთა კრებაზე საკითხები განსახილველად შემოაქვთ დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგიის მდივანს, დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცს და ხმოსანთა 1/3-ს.

მუხლი 19. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით, კრებაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 20. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების გადაწყვეტილებანი ეცნობება რეგიონული მმართველობის ორგანოებსა და დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა დაინტერესებულ საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსნებს არაუგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 21. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების გადაწყვეტილებანი, თუ ისინი არ შეესაბამება კანონმდებლობას, შეიძლება შეაჩეროს რეგიონის წარმომადგენლობითმა ორგანომ და გააუქმოს სასამართლომ.

2. ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲘ

მუხლი 22. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცს ირჩევს დაბის მოსახლეობა, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ტერიტორიაზე არჩევნების დღემდე 3 თვის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ სრულწლოვან მოქალაქეთაგან 3 წლის ვადით.

მუხლი 23. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცი ანგარიშვალდებულია ხმოსანთა კრების წინაშე და სამეურნეო-საფინანსო წლის ბოლოს ანგარიშს აბარებს მას.

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცი არჩევიდან ორი კვირის ვადაში აყალიბებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის აპარატის სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს ხმოსანთა კრებას.

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცი უზრუნველყოფს ხმოსანთა კრების მოწვევასა და მომზადებას.

დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების შეჩერება და გაუქმება შეუძლია დაბის ხმოსანთა კრებას.

მუხლი 24. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ თავკაცი აგრძელებს თავის საქმიანობას, ვიდრე არ იქნება ცნობილი ახალი თავკაცის უფლებამოსილება.

3. ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მუხლი 25. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგია აირჩევა დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების მიერ ფარული კენჭისყრით. ხმოსანთა კრების წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს დაბის ხმოსანთა კრება.

მუხლი 26. დაბის ხმოსანთა კრების კოლეგიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა.

მუხლი 27. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგიაზე გადაწყვეტილებები მიიღება უბრალო უმრავლესობით და ეცნობება დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხელისუფლების თავკაცს.

მუხლი 28. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგიაზე განსახილველ საკითხებს და სხდომების ჩატარების დროსა და ადგილს ადგენს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების მდივანი.

მუხლი 29. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების კოლეგიის სხდომებს ხელმძღვანელობს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების მდივანი, რომელსაც ირჩევენ ხმოსნები თავიანთი შემადგენლობიდან.

მუხლი 30. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრების მდივანი ხელს აწერს კოლეგიის გადაწყვეტილებებს და განსახილველად შეაქვს ისინი დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრებაზე.

4. ᲓᲐᲑᲘᲡ (ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ

მუხლი 31. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოების აპარატს აყალიბებს და ხელმძღვანელობს დაბის თავკაცი.

მუხლი 32. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოების აპარატი შედგება შემდეგი სამსახურებისაგან:

1. საფინანსო
2. იურიდიული
3. კომუნალური
4. საქმეთა მმართველობა.

მუხლი 33. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოების აპარატის საქმიანობას განსაზღვრავს დებულება, რომელსაც შეიმუშავებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თავკაცი და ამტკიცებს დაბის (მუნიციპალური ქალაქის) ხმოსანთა კრება.

მუხლი 34. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა ანაზღაურება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

მუხლი 35. დაბის (მუნიციპალური ქალაქის) თვითმმართველობის ორგანოებში ხმოსანთა კრების მდივნის და დაბის თვითმმართველობის ორგანოების აპარატის საქმიანობა ანაზღაურდება დაბის ხმოსანთა კრების მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲗᲐᲕᲘ I

ᲗᲔᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ

მუხლი 1. თემის თვითმმართველობის ორგანოები იმავდროულად წარმოადგენენ ადგილობრივ ხელისუფლებას. ისინი უზრუნველყოფენ პიროვნების თავისუფლებას, მოქალაქეთა უფლებების, საკუთრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. წარმართავენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს თემის წევრი სოფლების ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თემის წევრი სოფლების სტატუსი ხელშეუხებელია და მათი რაოდენობა არ განისაზღვრება.

მუხლი 2. თემის თვითმმართველობას წარმოადგენს სათემო კრება და მამასახლისი. მათი არჩევის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შესახებ.

მუხლი 3. თემის თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, გაუქმება, თემის წევრი სოფლების საზღვრების დადგენა, შეცვლა, სახელწოდების მინიჭება და გამოცვლა, თემის ან მისი წევრი სოფლის ერთი რეგიონიდან მეორისათვის გადაცემა ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 4. თემის თვითმმართველობის ორგანოები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას თემის წევრი სოფლების ტერიტორიაზე.

მუხლი 5. თემის თვითმმართველობის ორგანოები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებით, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით, რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილებებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში თემის თვითმმართველობის ორგანოები ხელმძღვანელობენ აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით და მინისტრთა კაბინეტების დადგენილებებით.

მუხლი 6. თემის თვითმმართველობის ორგანოები გადაწყვეტილებებს იღებენ ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

თემის თვითმმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა თემის მთელ ტერიტორიაზე.

თემის თვითმმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თემის თვითმმართველობა უფლებამოსილია, კანონის შესაბამისად, საკითხი განსახილველად გადასცეს მმართველობით ან სასამართლო ორგანოებს.

მუხლი 7. თემის თვითმმართველობა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

მუხლი 8. შენობაზე, სადაც განლაგებულია თემის თვითმმართველობა, საქართველოს დროშა აღმართულია მუდმივად.

ᲗᲐᲕᲘ II

ᲗᲔᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲜᲘ

1. ᲡᲐᲗᲔᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

მუხლი 9. სათემო კრება წარმოადგენს თემის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს. იგი წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს.

მუხლი 10. სათემო კრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს და ამტკიცებს:

1) თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს და ბიუჯეტს;
2) თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს;
3) ადგილობრივი გადასახადების სახეობას და ოდენობას;
4) თემის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობისა და განკარგვის საკითხებს;
5) თემის ტერიტორიაზე საერთო დანიშნულების წიაღისეულის გამოყენების, ბუნების დაცვის ღონისძიებათა, ნადირობისა და თევზჭერის წესების დაცვის პირობებს;
6) თემის ტერიტორიაზე წყლით სარგებლობის წესებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს;
7) თემის მამასახლისის მმართველი აპარატის საშტატო განრიგსა და სამოქმედო დებულებას;
8) დროებით კომისიებს და მათ შემადგენლობას.

მუხლი 11. ხელს უწყობს თემის წევრი სოფლების ტერიტორიაზე საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

2. ᲗᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ

მუხლი 12. თემის ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელია მამასახლისი. თემის მამასახლისი თავის საქმიანობას წარმართავს მმართველი აპარატის მეშვეობით. იგი ანგარიშვალდებულია სათემო კრების წინაშე.

მუხლი 13. თემის მამასახლისი ხელმძღვანელობს თემის სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ განვითარებას, კერძოდ:

1) ადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებსა და ბიუჯეტს;
2) ადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს;
3) უზრუნველყოფს გადასახადების დროულად აკრეფას შესაბამისი კანონის საფუძველზე;
4) განკარგავს კრედიტს, მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებს;
5) განაგებს მიწათსარგებლობისა და განკარგვის საკითხებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6) ხელს უწყობს ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
7) ხელს უწყობს თემის ტერიტორიაზე საერთო დანიშნულების წიაღისეულის გამოყენებას და გასცემს ნებართვას;
8) აწარმოებს მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციას, სანოტარო მოქმედებათა შესრულებას;
9) ხელს უწყობს განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის, კერძო მეწარმეობის განვითარებასა და სხვა საქმიანობას;
10) კოორდინაციას უწევს თემის წევრი სოფლების კეთილმოწყობას და განაშენიანებას;
11) განიხილავს და რეგისტრაციაში ატარებს ახლადშექმნილ საწარმოთა წესდებებს;
12) იღებს ზომებს სტიქიურ უბედურებათა აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მუხლი 14. თემის მამასახლისი ხელს უწყობს კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის განხორციელებას, უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს მუნიციპალური პოლიცია და კოორდინაცია გაუწიოს მის საქმიანობას.

ᲗᲐᲕᲘ III

1. ᲗᲔᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

მუხლი 15. სათემო კრება წარმოადგენს თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს. კრების წევრები არიან თემის წევრი სოფლების მოსახლეთა არჩეული წარმომადგენლები. კრების წევრებს ირჩევს სოფლის ყრილობა სამი წლის ვადით და მათი რაოდენობა თითოეული სოფლიდან არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წარმომადგენელს. სათემო კრების თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

მუხლი 16. სათემო კრების სხდომა ტარდება წელიწადში არა ნაკლებ ორჯერ. სათემო კრების სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს კრების წევრთა ერთი მესამედის ან თემის წევრი ერთ-ერთი სოფლის წარმომადგენელთა მოთხოვნით. სათემო კრების მოწვევის დროსა და ჩატარების ადგილს, აგრეთვე განსახილველად შემოტანილ საკითხებს მამასახლისი კრების წევრებს აცნობს ორი კვირით ადრე.

მუხლი 17. სათემო კრება უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხზე, თუ სხდომას ესწრება კრების წევრთა ნახევარზე მეტი, ამასთან აუცილებელია ყოველი სოფლიდან არა ნაკლებ ერთი წარმომადგენლისა.

მუხლი 18. სათემო კრების სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებს სათათბირო ხმის უფლებით, აგრეთვე სათემო კრებაზე მოწვეულ პირებს.

მუხლი 19. სათემო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით კრების წევრთა უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერს მამასახლისი.

მუხლი 20. სათემო კრების გადაწყვეტილება ეცნობება რეგიონულ წარმომადგენლობით ორგანოს არა უგვიანეს ერთი კვირისა.

მუხლი 21. სათემო კრების გადაწყვეტილებანი, თუ ისინი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, შეიძლება შეჩერებულ იქნეს რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ და გაუქმებულ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. ᲗᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ

მუხლი 22. თემის მამასახლისს ირჩევს სათემო კრება წევრთა შემადგენლობიდან სამი წლის ვადით. მამასახლისი არჩევიდან არა უგვიანეს ათი დღის ვადაში აყალიბებს მმართველ აპარატს, რომლის შემადგენლობაში შედიან დარგობრივი სპეციალისტები.

თემის მამასახლისი მისი არჩევიდან არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში იწვევს სათემო კრებას.

თემის მამასახლისის და მისი აპარატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

მუხლი 23. თემის მამასახლისი, მასთან არსებული მმართველი აპარატის მეშვეობით უზრუნველყოფს თემის სოციალურ-ეკონომიკურ, საფინანსო-საბიუჯეტო, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, მართლწესრიგისა და სხვა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხორციელებას, სათემო კრების გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

თემის მამასახლისი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და განკარგულებებს, აფორმებს ხელშეკრულებებს, რომელთა შეჩერების უფლება აქვს სათემო კრებას, ხოლო გაუქმება — სასამართლოს.

განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, წერილებსა და წინადადებებს.

მუხლი 24. თემის მამასახლისის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მამასახლისი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას სათემო საბჭოს არჩევამდე.

3. ᲗᲔᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ

მუხლი 25. სათემო კრება უფლებამოსილია შექმნას დროებითი კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნენ თემის წევრი სოფლის მცხოვრებნი, დარგობრივი სპეციალისტები. დროებითი კომისიები იქმნება იმ პრობლემატურ საკითხთა შესწავლის მიზნით, რომლებიც თემის თვითმმართველობის კომპეტენციაშია.

კომისია იქმნება თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლობით. მის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სათემო კრება. კომისიები ანგარიშვალდებულნი არიან სათემო კრების წინაშე.

მუხლი 26. კომისია ადგენს ანგარიშებს. შესაბამისი წინადადებების თანდართვით ანგარიშებს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და წარუდგენს სათემო კრებას.

ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ — ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲡ

6 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე** შეხვდა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე საუბარი გაიმართა იმ პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების შესახებ, რომლებიც ოპერატიულ გადაწყვეტას ითხოვს.

სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხთან ერთად უმნიშვნელოვანეს საქმედ იქნა მიჩნეული მართლწესრიგის, პოლიციის სტრუქტურების, საბაჟო სისტემის ამოქმედება, სამშვიდობო ძალების უფრო რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც რეგიონში ლტოლვილების დაბრუნების უმთავრესი პირობა.

სახელმწიფოს მეთაურმა რესპუბლიკის მთავრობას, სახელმწიფო ბანკს, სხვა ორგანიზაციებს დაავალა უმოკლეს ვადაში გაუწიონ ქმედითი დახმარება ცხინვალის რეგიონს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე**, სპიკერის მოადგილე **რუსუდან ბერიძე**; რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

ᲒᲖᲐ ᲓᲐᲕᲣᲚᲝᲪᲝᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲕᲐᲚᲣᲢᲐᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ პირველად გამოჩნდა ბაზარზე ქართული ვალუტის წინამორბედი — კუპონი. როგორი გზით ივლის, როგორ ადგილს დაიმკვიდრებს იგი საბაზრო ეკონომიკაში, ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ცხოვრება. ამის თაობაზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ ჩვენი გაზეთის მკითხველები.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲣᲚᲖᲔ ᲛᲝᲒᲕᲘᲡᲬᲠᲝ

ᲐᲛ გაჭირვების ჟამს ქართული კუპონების მიმოქცევაში შემოტანა ერთადერთი გამოსავალი იყო. მართალია, ეს მოხდა დაგვიანებით, მაგრამ მართლაც რომ სულზე მოგვისწრო.

ახლა მთავარია, ყველამ შევიგნოთ, რომ საჭიროა კუპონს დავუმკვიდროთ თავისი კუთვნილი ადგილი, რათა მან ღირსეული კონკურენცია გაუწიოს რუსულ მანეთს და გზა გაუკაფოს ქართულ ვალუტას — ლარს.

უნდა გვახსოვდეს, ეროვნული ვალუტის სიმტკიცე ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ტოლფასია.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐ,
პარლამენტის წევრი.

ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ტერიტორიაზე კუპონების მიმოქცევაში შემოსვლა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია. თავიდან ალბათ ეს გარკვეულ პრობლემებს წარმოქმნის, მაგრამ ის განწყობა, რაც აქ, ბაზარშია, იმედს გვაძლევს. გლეხები კუპონებით ვაჭრობის წინააღმდეგი არ არიან, იმდენად, რამდენადაც კუპონები აუცილებელია კომუნალური გადასახადის, მგზავრობის, პირველადი მოხმარების პროდუქციის შეძენისას.

ბაზრის ადმინისტრაცია ძოზზადებული ხვდება ამ ღონისძიებას. ჩვენ მზად ვართ, შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგოთ გლეხობისა და მომხმარებლების ურთიერთობა.

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲩᲝᲤᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორის მოადგილე.

ᲧᲣᲠᲓᲐᲑᲔᲪ ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲝᲗ

ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ ველოდი პენსიას და აი, გუშინ კუპონები ავიღე. მართალი გითხრათ, ამის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, სიამოვნებით ვუჭერ მხარს ჩვენი მთავრობის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ათასიანი კუპონები, რომლებიც მომცეს, მალაზიებში, ვერსად გადავახურდავე, იქნებ იმაზეც ვიზრუნოთ, რომ სავაჭრო ობიექტები ხურდით სათანადოდ მოამარაგონ. ეს ხალხს გაუადვილებს ამა თუ იმ პროდუქციის შეძენას და გამორიცხავს გამყიდველებთან კონფლიქტს.

ᲛᲐᲛᲔᲓ ᲐᲚᲘᲔᲕᲘ,
პენსიონერი.

ᲓᲘᲐᲮᲐᲪ, ᲙᲣᲞᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲕᲧᲘᲓᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ხმა გავრცელდა, გლეხი ბაზარში კუპონით არ ივაჭრებსო, საინტერესოა ვის აძლევს ხელს, ასე რომ იყოს? რატომ ჰგონიათ, თითქოს ჩვენ ახალ ცხოვრებას ნაბიჯს არ ავუწყობთ?

მშობლიური მიწა-წყალი ჩვენზე მეტად ვის უყვარს, ჩვენზე მეტად ვინ იცის, რამდენი ოფლი, გარჯა და შრომა სჭირდება გლეხს მოსავლის მოსაყვანად, მაგრამ რად მინდა ისეთი ქირნახული, რომელსაც ჩემს მეზობელს, ნათესავსა თუ მოყვარეს არ ვუწილადებ, ბაზარზე არ გავიტან და ვილაცას არ დავანაყრებ. დიახაც, რომ ჩემს ნაამაგარს კუპონებზე გავყიდი, ანდა რატომ არ უნდა გავყიდო, ვერ გამიგია, მასაც ხომ იგივე მყიდველობითი უნარი აქვს, როგორიც მანეთს, კუპონით შეიძენ პურს, და სხვა საქონელს. ხალხში უთქვამთ: ხელი ხელს ჰბანს, ორივე კი პირსო, ასე რომ, სოფელი და ქალაქი უეჭველად მორიგდებიან.

ᲛᲔᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ,
ლანჩხუთის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ომი სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს"

ასე დაიწყო საუბარი საქინფორმის კორესპონდენტთან საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე კავსაძემ. იგი ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის დავალებით სპეციალური მისიით იმყოფებოდა აფხაზეთში. დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საქმეთა კომისიის ხელმძღვანელი ნიკო ქავჟავაძე, პარლამენტის წევრები ადა მარშანია და პაატა კოლუაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თენგიზ შარმანაშვილი. — თუ ომი გაგრძელდება, აფხაზეთის ტერიტორიაზე სულ მალე აღარც ერთი აბორიგენი ერი არ დარჩება. — თქვა შემდეგ ბატონმა სანდრო კავსაძემ. — განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებიან აფხაზები. ამაში მე დამარწმუნა აფხაზეთში გამართულმა შეხვედრებმა. დღეს ომია, ამას ჩვენ შესაძლოა ანგარიშს არ ვუწევთ, ხვალ კი ამაზე ყველას მოგვეთხოვება პასუხი.

სოხუმში ჩვენი მისიის ძირითადი ამოცანა იყო გადაგვეწყვიტა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხი გუდაუთისა და გაგრის ტერიტორიებზე, რომლებსაც გუდაუთის დაჯგუფების შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ. მოხდა ისე, რომ ჩვენი წასვლის წინ ვითარება ერთობ დაიძაბა — გამოქვეყნდა გენერალ-ლეიტენანტ ჩინდაროვის განცხადება, რომ, თითქოს, სოხუმში დისკრიმინაციას განიცდის რუსულენოვანი მოსახლეობა, გახშირდა მოსკოვისა და რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში სოხუმის მოვლენების გაშუქების ტენდენციური ფაქტები, პარალელურად გააქტიურდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ძალები. ერთი სიტყვით, იქმნებოდა წინასწარი ალიბი უკვე დაგეგმილი სამხედრო ოპერაციებისა, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქ სოხუმის აღებას. ყოველივე ამის გამო, დროებით გადავდეთ ჩვენი ძირითადი ამოცანის განხორციელება, და პირველი, რაც გავაკეთეთ სოხუმში ჩასვლის შემდეგ, იყო ის, რომ დავუკავშირდით არძინბას და შევთავაზეთ შეხვედრა. ამაზე მან მიპასუხა, რომ ვერ უზრუნველყოფდა ჩვენს უსაფრთხოებას. ჩვენს დაჟინებულ თხოვნაზე კი გვითხრა, რომ მოლაპარაკებას არა აქვს აზრი, ვიდრე აფხაზეთის ტერიტორიიდან არ გაიყვანთ სამთავრობო შეიარაღებულ ძალებსო. როდესაც არძინბასთან შეხვედრის ყველანაირი იმედი ამოვწურეთ, შევუდექით ჩვენი პირდაპირი ამოცანის შესრულებას. შევხვდით ადგილობრივ რუსებს, სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, აფხაზეთის ხსნის კომიტეტს, ეროვნული ერთიანობის საბჭოს, სოხუმში განლაგებულ მედესანტეთა ჯგუფის ხელმძღვანელობას. სიტუაცია მართლაც მძიმე იყო. ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ხელახალი შტურმი სოხუმზე...

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, არძინბა მაინც გამოვიდა თქვენთან კონტაქტზე.

— ჩემთვის სრულიად მოულოდნელად და ჩვენს შორის გამართული საუბრების მიუხედავად, ვლადისლავ არძინბამ გამოგვიგზავნა თავისი წარმომადგენლები და გვთხოვა მოლაპარაკება დაგვეწყო მშვიდობიანი მოსახლეობის, მძევლებისა და ტყვეების გაცვლის შესახებ. ამ მოლაპარაკებაზე უარი არ გვითქვამს, შევხვდით არძინბას წარმომადგენლებს და შევთანხმდით, რომ როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის, ისე მძევლებისა და ტყვეთა გაცვლა არის შესაძლებელი, და მას სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს. ამ მოლაპარაკების თანახმად, უკვე 6 აპრილს შეხვდნენ მხარეთა სამ-სამი წარმომადგენელი.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენი მისიის წინაშე დასახული ძირითადი ამოცანა შესრულდა.

კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი: ამ დღეებში ოჩამჩირეში გაიმართება ტყვარჩელისა და ოჩამჩირის წარმომადგენელთა შეხვედრა. მასში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი კომიტეტისა და ორგანიზაცია „საერთაშორისო ომეგას" წარმომადგენლებიც. ლაპარაკი იქნება შეიარაღებული დაპირისპირების შეჩერებაზე და ტყვარჩელში მყოფი ქართველი ტყვეების — მფრინავი თამაზ ნადირაშვილის და სამი პოლიციელის განთავისუფლებაზე.

— თქვენ ფრონტის წინა ხაზზეც ბრძანდებოდით. როგორია მებრძოლების განწყობილება?

— მებრძოლების განწყობილება როგორც გუმისთის ხაზზე, ასევე ოჩამჩირეში არის ამაღლებული. ჩემთვის სასიამოვნო იყო მათთან საუბარი. ისინი გმირები არიან თავისი [illegible] წესით. ყოველ წამს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე არიან და მაინც სულით არ ეცემიან. ვიყავი პირველი ბატალიონის ტერიტორიაზე გუმისთასთან, ოჩამჩირის რაიონში კი უშუალოდ საბრძოლო პოზიციებზე სოფელ მერკულასთან შევხვდი ხობელებს. არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა ხობელებისა და ფოთელების საბრძოლო სულისკვეთებას. მათი საბრძოლო შემართება და ვაჟკაცობა, რომლებიც სამაგალითოა, ნაცარტუტად აქცევს ყველა იმ ჭორსა და მითქმა-მოთქმას, ასე ხშირად რომ ვრცელდება საქართველოში სამეგრელოს რეგიონთან დაკავშირებით.

— როგორ ემზადებით გაეროს ფაქტების დამდგენი მისიის შესახვედრად?

— ადამიანთა უფლებების დარღვევის ყველა ფაქტი იქნება გადამოწმებული გაეროს მისიის მიერ. ამჟამად კეთდება ფაქტების ჩამონათვალი, რომელზეც მუშაობენ ჩვენი კომიტეტის სპეციალური ჯგუფი და სოხუმის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი.

— ფრონტის ხაზის იქითა მხარეს თუ ჩანან პროგრესულად მოაზროვნე ძალები, რომლებიც ხვდებიან ომის საშინელებას და მზად არიან პოლიტიკური დიალოგისათვის?

— ისინი არიან. სხვანაირად ალბათ, არც ჩვენს საქმიანობას ექნებოდა აზრი. ყოველდღიურად ვეძებთ გზებს მათთან კონტაქტების დასამყარებლად. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს კონტაქტები მალე უნდა ამოქმედდეს.

ნინო თათრულაიძე.

რეპორტაჟი ოჩამჩირიდან

აფხაზეთის ტკივილიანი გაზაფხული

ცხოვრება მშვიდობიან კალაპოტს უბრუნდება

ომმა ვერ შეაჩერა აფხაზეთის გაზაფხული. ოჩამჩირის რაიონის გადამწვარი სოფლების ცაგერას, ტამიშის, კინდღის, აძუბჟას და დაბომბილი ქალაქ ოჩამჩირის მოსახლეობა სულით არ დაცემულა. ომის ხანძრისაგან შებოლილი, ტყვიებით დაცხრილული, ერთ დროს კოპწია ზღვისპირა საკურორტო ქალაქი ჭრილობებს იშუშებს.

— ქალაქში ცხოვრება მშვიდობიან კალაპოტს უბრუნდება, — ამბობს ოჩამჩირის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ბუტა ბუგუჩია. — აღდგენილია მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. საკმარისი რაოდენობით ცხვება პური. მუშაობენ საკონსერვო, ზეთსახდელი ქარხნები, ჩაის ფაბრიკები, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო ობიექტები, კავშირგაბმულობის სამსახურები. აღდგენილია სატელეფონო კავშირი სოხუმთან და თბილისთან. ვიღებთ სატელევიზიო გადაცემებს, ამოქმედდა კომერციული სატელევიზიო არხიც. რეგულარულად გამოდის ქართულენოვანი რაიონული გაზეთი „ოჩამჩირის მოამბე". ნორმალურად ფუნქციონირებენ სკოლები. ის კი არა და ადგილობრივი მხატვრული კოლექტივების ძალებით იმართება კონცერტები. მოსახლეობას ამხნევებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული დელეგაციები, რომლებსაც ჩამოაქვთ ჰუმანიტარული დახმარება. როცა ასეთი თანადგომაა, მტრის ძალა უძლურია აფხაზეთი მოსწყვიტოს დედა საქართველოს, — დასძინა ოჩამჩირის გამგებელმა.

„მხედრიონი" საბრძოლო ფორმაშია

ვინ მოთვლის უკვე მერამდენედ ჩამოვიდა ოჩამჩირეში საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი. მან დაათვალიერა ფრონტის წინა ხაზი, შეხვდა და ესაუბრა მებრძოლებს, დაინტერესდა მათი პირობებით, აღჭურვილობით, საბრძოლო სულისკვეთებით.

მხედრიონელები სალამოს ოჩამჩირის ადგილობრივი მმართველობის შენობის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ. აქ გაიმართა „მხედრიონის" ახალი წევრების მიღების საზეიმო ცერემონიალი. ბატონმა ჯაბა იოსელიანმა სამკერდე ნიშნები გადასცა მებრძოლებს და გამარჯვება უსურვა. ამაღლვებელი იყო წუთები, როდესაც ბატონმა ჯაბა იოსელიანმა მხედრიონელის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა ომში გმირულად დაღუპული რეზო როსტიაშვილის მამა, რომელსაც ყველა მებრძოლი სიყვარულით ავთო „პაპას" ეძახის. ამ ასაკოვანმა, თმაჭაღარა კაცმა ხელში ავტომატი აიღო და დაღუპული შვილის ადგილი დაიკავა. მის მამაცობას არაერთხელ გაუმხნევებია ახალგაზრდა მებრძოლები.

მხედრიონელად კურთხევის საზეიმო ცერემონიალი დაამშვენა ანსამბლების „ოთხი გიასა" და „ბორჯომის" გამოსვლამ. ბორჯომის სახალხო თეატრის მსახიობებმა წუთით ომი დაავიწყეს დარბაზში შეკრებილ მებრძოლებს და რიგი სოფლებიდან ოჩამჩირეში დროებით განსახლებულ ლტოლვილებს. მათ მიერ ქართული სპექტაკლებიდან განსახიერებულმა სცენებმა ჯანსაღი სიცილით აავსო დარბაზი. საინტერესო იყო ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილ სცენებში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთში მებრძოლმა ბორჯომის სახალხო თეატრის მსახიობმა ზურაბ ქარჩველიშვილმა, რომელიც ის-ის იყო ფრონტის წინა ხაზიდან სრული საბრძოლო აღჭურვილობით მოვიდა დარბაზში.

ფრონტის ხაზიდან კანტი-კუნტად ისმოდა ავტომატური იარაღისა და ქვემეხების სროლის ხმა. დარბაზში კი იღვრებოდა ომახიანი ქართული სიმღერები. აპრილის მშვიდობიანმა სალამომ ომის დამთავრების მოახლოება გვაგრძნობინა. ეს იყო დარბაზში შეკრებილთათვის შთამბეჭდავი და დაუვიწყარი დღე. ერთიანი საქართველოსთვის საბრძოლველად მზად იყო ყველა.

თუ რუსეთი არ ჩაერევა, ომი დამთავრდება

ასე განაცხადა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა, როდესაც მას ბლიც-ინტერვიუ ჩამოვართვით. — დროა, აფხაზთა მხარემ დაივიწყოს ყოველგვარი ამბიციები და მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენისათვის იზრუნოს, — თქვა მან. — ვლადისლავ არძინბამ აფხაზი ახალგაზრდები უაზროდ ამოწყვიტა ომში. მას რუსეთის სამხედრო ძალის დახმარების იმედი აქვს და არ სურს მოლაპარაკება გამართოს ჩვენთან. აფხაზი ხალხი უნდა მიხვდეს, რომ ამ ომში მას გამარჯვება არ უწერია. რუსეთის რეაქციულმა ძალებმა ახალი ფორმა მოუძებნეს ომში მათ მონაწილეობას. ურცხვად აცხადებენ, თითქოს ისინი აფხაზეთში რუსულენოვან მოსახლეობას იცავენ, მაგრამ მათი აგრესიული მოქმედებები, მშვიდობიანი მოსახლეობის არაერთი დაბომბვა, შეუმჩნეველი არ რჩება მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის. რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული დეზინფორმაციაც ველარ აღწევს მიზანს.

კატეგორიულად არ ვეთანხმები იმათ მოსაზრებას, ვინც მოითხოვს აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის გაყვანას გადარჩენის მიზნით, — აგრძელებს საუბარს ბატონი ჯაბა. — უნდა გავიყვანოთ მხოლოდ ბავშვები, ქალები და მოხუცები საომარი მოქმედების ზონიდან. ბრძოლისუნარიანმა მამაკაცებმა იარაღით უნდა დაიცვან მშობლიური კუთხე. მათ პარტიზანული ომი უნდა გაუმართონ მტერს. ქართული ჯარი ყოველდღიურად იკრებს ძალებს და მტკიცდება. „მხედრიონი" მთელი შემადგენლობით შევიდა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში და იბრძოლებს ერთიანი, განუყოფელი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსათვის. ჩვენს მიწა-წყალს, რომელიც წინაპრებს საკუთარი სისხლით მრავალჯერ დაუცავთ, არავის დავუთმობთ. დროა, ეს შეიგნონ რუსეთის რეაქციულმა ძალებმაც და აფხაზმა სეპარატისტებმაც. ქართველებმა ამ ომშიც დაამტკიცეს, რომ ღირსეული მეომრები არიან და მათი ბრძოლა სამართლიანია. ისინი ხომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავენ.

რობერტ ცუცქირიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ანდრია კოზირევის ინტერვიუ

ეი-ბი-სისადმი ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა განაცხადა: ვანკუვერის უმაღლესი დონის შეხვედრის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ორმა დიდმა სახელმწიფომ, რომლებსაც ჯერ კიდევ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ბირთვული არსენალები და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში უდიდესი და განსაკუთრებული გავლენით სარგებლობენ, თანამშრომლობენ, ხოლო ამ ქვეყნების ლიდერები ხვდებიან და ერთმანეთს ეცნობიან და ბჭობენ როგორც საკუთრივ საშინაო, ასევე მსოფლიო პრობლემების გადასაწყვეტად თანამშრომლობის სტრატეგიაზე. რომ ბორის ელცინისა და ბილ კლინტონის შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კიდევ იმის გამო, რომ „რუსეთელებს სურთ დაინახონ, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ ამ ქვეყანაზე. საკუთარი სიძნელეებით, რომლებიც ჩვენ უნდა დავძლიოთ, რომ ჩვენ საიმედო მოკავშირე გვყავს ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა დემოკრატიული ქვეყნების სახით".

იაპონიის მთავრობა მიესალმა

იაპონიის მთავრობა მიესალმა ვანკუვერში რუსეთ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებს. ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა იოხეი კონომ განაცხადა, რომ ტოკიო დიდად აფასებს პრეზიდენტ ბორის ელცინის გადაწყვეტილებას განუხრელად გაატაროს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების კურსი. რომ კმაყოფილია, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის მიერ გამოცხადებული რუსეთისათვის დახმარების კონკრეტული ღონისძიებებით, რომ ეს ხელს შეუწყობს ტოკიოში „დიდი შვიდეულის" ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციას, რომელიც სპეციალურად მიეძღვნება რუსეთის ფედერაციაში რეფორმების გატარების ხელშეწყობის საკითხებს. კონომ იაპონიის მთავრობის სახელით მადლობა გამოუცხადა პრეზიდენტ კლინტონს, რომელმაც მხარი დაუჭირა ტოკიოს პოზიციას მოსკოვთან ტერიტორიულ (კურილის კუნძულები) დავის საკითხში, იოხეი კონომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონია, როგორც შვიდეულის მინისტრების აპრილის კონფერენციის ორგანიზატორი, შესაძლებლად მიიჩნევს რუსეთისათვის დახმარების ახალი გადაწყვეტილებები კონკრეტული ციფრებით აღნიშნოს.

ანკარა ბრალს სდებს

ხუთი ქვეყნის — ანკარაში აკრედიტებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების დიპლომატიური წარმომადგენლები, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, ორშაბათს მიიწვიეს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და გააცნეს თურქეთის წინადადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსადმი „დაუყოვნებლივ და გადაუდებლად" მოახდინოს რეაგირება აგრესიის ფაქტზე, რათა „განხორციელდეს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და სომხეთის აგრესიის შეწყვეტის საჭირო ღონისძიებანი". ანალოგიურ დემარშებს თურქეთმა მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხვა წევრების მიმართაც. ანკარა ბრალს სდებს ერევანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპებისა და ვალდებულებების დარღვევაში, რომლებიც სომხეთმა იკისრა ამ ორგანიზაციის ფარგლებში.

„ჩვენი მოთმინების ფიალა ივსება", — მოჰყავს ფრანს პრესის სააგენტოს თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის სიტყვები, რომელმაც სომხეთი გააფრთხილა და ერევანს ბრალად დასდო „ფანატიზმი".

უშიშროების საბჭოს კონსულტაციები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო განაგრძობს სიტუაციის განხილვას აზერბაიჯანში ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნით. ორშაბათს გამართულ უშიშროების საბჭოს საკონსულტაციო სხდომაზე წარმოადგინეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ „აზერბაიჯანის წინააღმდეგ სომხეთის ფართო მასშტაბის აგრესიასთან დაკავშირებით".

სერიოზული შეშფოთება

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა დიდი შეშფოთება მთიანი ყარაბაღის ირგვლივ შექმნილი კონფლიქტის გამწვავებასთან დაკავშირებით. სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ საჭიროა, მხარეებმა ერთსულოვნად და საბოლოოდ გააკეთონ არჩევანი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების სასარგებლოდ, უარყონ მიუღებელი სამხედრო გზით გადაწყვეტა. განცხადებაში გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ კრიზისის გამწვავება მოხდა სწორედ მაშინ, როცა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში დამყარდა კონტაქტები ამ რთული პრობლემის გადაჭრის მიზნით.

მთიანი ყარაბაღის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარემ იტალიელმა დიპლომატმა მარიო რაფაელიმ გაუგზავნა წერილი კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს. წერილში ხაზგასმულია, რომ ტერიტორიის ნებისმიერი დაპყრობა ძალის მეშვეობით, მათ შორის კელბაჯარის რაიონში, არის მიუღებელი და საფრთხეს უქმნის რომში მიმდინარე წლის მარტში გამართულ „მინსკის ჯგუფის" თათბირზე მიღწეულ დადებით შედეგებს. იგი უწინარეს ყოვლისა გულისხმობდა მორიგებას კონფლიქტის ზონაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეთვალყურეთა გაგზავნის შესახებ. მ. რაფაელიმ აღნიშნა, რომ მოლაპარაკების დაწყებიდანვე მისი უპირველესი მიზანი იყო კონფლიქტის გაფართოების თავიდან აცილება. მან გამოთქვა შეშფოთება მოლაპარაკების პროცესის შეჩერების შესაძლო შედეგების გამო, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ მოგვცა დამაიმედებელი შედეგები ურთიერთდაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებს შორის პირდაპირი კონტაქტების შემდეგ.

ამერიკა-რუსეთი მოაწყობენ უპრეცედენტო ერთობლივ მანევრებს

შეერთებული შტატები და რუსეთი ამ თვის დამლევს უპრეცედენტო ერთობლივ სამხედრო მანევრებს მოაწყობენ რუსეთის ტერიტორიაზე. ეს გამოაცხადა ორშაბათს სი-ენ-ენ ტელეკომპანიამ, რომელმაც დაიმოწმა პენტაგონის საკუთარი წყაროები. ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მანევრები ერთ დღეს გასტანს.

ტელეკომპანიის მონაცემებით, სამხედრო მანევრები მოეწყობა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე. ორივე ქვეყნის ქვედანაყოფები მოახდენენ თვითმფრინავის დაღუპვის იმიტაციას და შეიმუშავებენ დაზარალებულ ადამიანთა ძებნისა და გადარჩენის დროს მოქმედების კოორდინაციას. ამ მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ 35 ამერიკელი და 150 რუსეთელი სამხედრო მოსამსახური.

თითო აბზაცით

„ძალზე წარმატებული" უწოდა ვანკუვერში დასრულებულ რუსეთ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ლოურენს იგლბერგერმა.

ორშაბათს აზერბაიჯანმა ითხოვა მოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა „აზერბაიჯანის წინააღმდეგ სომხეთის ფართომასშტაბიანი აგრესიის" განხილვისათვის. ეს თხოვნა ჩამოყალიბებულია აზერბაიჯანის პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის წერილში, რომელიც მან გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს.

ორშაბათს ირანის მთავრობამ გამოთქვა „დიდი შეშფოთება" აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის ინტენსიფიკაციის გამო და მოითხოვა „სომხეთის ჯარების გაყვანა ოკუპირებული ტერიტორიიდან", იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან, რომელსაც მოჰყავს ციტატა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებიდან.

თურქეთის უპორტფელო მინისტრმა აკიმ გუნემმა ორშაბათს განაცხადა, რომ სომხეთის მიმართულებით წყდება თურქეთის საჰაერო სივრცეში თვითმფრინავთა უკლებლივ ყველა ფრენა. შეაჩერეს რეისები, რომლებითაც სომხეთისათვის ევროპის დახმარება მოდიოდა.

თურქეთმა შეწყვიტა სომხეთში ხორბლის გაგზავნა, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში შემოტანილი იყო სომეხი ხალხისადმი ჰუმანური დახმარების სახით. როგორც ანკარის რადიო იუწყება, სომხეთში საფრანგეთიდან ისკენდერუნის საზღვაო ნავსადგურში რკინიგზით მიტანილი ხორბლის გაგზავნა შეჩერებულია. რადიო აღნიშნავს, რომ წინათ სომხეთს მიაწოდეს 2 ათას ტონაზე მეტი ხორბალი, დანარჩენი 45 ათასი ტონა კი ისკენდერუნში გააჩერეს. რადიოს ცნობაში აღნიშნულია, რომ თურქეთის მთავრობამ ეს ღონისძიებანი განახორციელა აზერბაიჯანის წინააღმდეგ სომხეთის აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„ხელებს ნუ იკრებთ გულზედა,
საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა,
თვით უპატრონეთ თავის თავს,
ნუ იმედოვნებთ სხვაზედა".

ვაჟა-ფშაველა.

გუგული ჯიმშელაძე რამდენიმე ათეული წელია მუშაობს სამეურნეო სამუშაოზე. ამჟამად საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს წინამძღოლია. წარმოებისგან მოუწყვეტლივ დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. სადაც კი უმუშავნია, საქმე ყოველთვის კარგად ჰქონდა აწყობილი, მაგრამ ამ არეულ საქართველოში უკვე ისე აღარ გამოსდის, როგორც სურს. ასე განაცხადა მან რედაქციაში სტუმრობისას. თან გლეხკაცის გულისტკივილი გადმოგვცა.

ვინ მოუვლის ან რით დამუშავებს მიწას?

მეურნე კაცის გულისტკივილი

ჩვენი ბედოვლათობით უკანასკნელ წლებში სოფელს ისეთი დიდი ზიანი მივაყენეთ, რომელსაც მრავალი ათეული წელი ვერ გამოვასწორებთ. სოფლის ნგრევა, თანაც ფართო მასშტაბებით, ჯერ კიდევ „ხრუშჩოვის ეპოქაში" დაიწყო. პირველი უგუნური ნაბიჯი მტს-ების გაუქმება გახლდათ. ერთბაშად დაილუპა ძვირფასი ტექნიკა, რომელმაც ნამდვილი პატრონი დაკარგა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა კი შესაფერისად ვერ მოუარეს. მეორე დიდი დარტყმა სოფელმა მაშინ მიიღო, როცა იგივე მოსკოვის კარნახით კოლმეურნეობებში ნატურანაზღაურებას უარი ეთქვა და იძულებითი ფულადი ანაზღაურება დაინერგა. გლეხკაცი ადრე თუ საზღაურად მარცვლეულსაც იღებდა, მეცხოველეობის პროდუქტებსაც, ასე განსაჯეთ თაფლსაც, ღვინოსაც და ა. შ. ახლა სანაცვლოდ გროშებს ვუგდებთ, თავისი ოფლით მოწეული პროდუქტის საყიდლად ქალაქში დაწანწალებენ და მოწყდნენ მშობლიურ მიწას, ბევრი კიდეც გაფუქსავატდა და ხელი აიღო შრომაზე...

ზევიდან არასწორი მართვის მიუხედავად მაინც ვფიქრობდით მომავალზე. კახეთის კარგი მიწები ვაზმა დაფარა. პლანტაციების გაშენება დიდ კაპიტალურ დაბანდებას და ძალისხმევას მოითხოვდა. მილიონობით მანეთი მოხმარდა ამას. მარტო პლანტაჟი, ნერგი და დარგვა თქვით. მერე საყრდენი, მავთული, შემოღობვა... საქმე თითქოს კარგად წარიმართა, უკუგების მიღებაც დავიწყეთ. ამაღლდა საზოგადოებრივ მეურნეობათა რენტაბელობის დონე, მაგრამ...

სწორედ ეს „მაგრამ" უბრალო სიტყვა როდია, იგი ჩვენი სიმწრის გამომხატველია. 1989 წლიდან, რაც რესპუბლიკა ქაოსმა და ანარქიამ მოიცვა, ჩვენი შრომა, ამაგი, ძალისხმევა ერთბაშად ჩაგვეყარა წყალში. ვეღარ დავტკბით ჩვენი მონაგარით. დიდი შრომით მოყვანილი ყურძენი ღვინის ქარხნებში მიგვქონდა ჩვენივე ტრანსპორტით და ვაბარებდით ჩალის ფასად. თუმცა იმ გროშებსაც არავინ იძლეოდა და არც დღეს იძლევა დროულად. როცა ქვეყანა ინფლაციამ მოიცვა და მანეთის კურსი გაუფასურდა, ორი-სამი წლის წინათ კუთვნილი თანხა მაშინ გადმოგვცეს. შარშან ჩაბარებული ყურძნის ფასი ბევრ მევენახეს წელსაც არ მიუღია. ჰოდა, მკითხველმა განსაჯოს, რაღა ხალისით უნდა იშრომოს გლეხმა.

ეს კიდევ არაფერი. კახეთის მევენახეებს უარესი რისხვაც დაატყდათ თავს. და განა მარტო აქაურებს? მე მგონი მთელ საქართველოს მეტნაკლებად ერთნაირი გასაჭირი ადგას. უზომოდ გაიზარდა ყველაფრის ფასი, მე მგონია, ზოგი რამისა ათასჯერაც კი. კილოგრამი შაბიამანი ახლა 240 მანეთი ღირს, როცა 30-60 კაპიკად იყიდებოდა. საწვავ-საცხებით მომარაგებაზე სახელმწიფომ თითქმის მთლიანად დაიბანა ხელი, დავრჩით კერძო გადამყიდველების ხელში, თავიანთ თავს ბიზნესმენებს რომ უწოდებენ. თუ ეს საქმე ისევ სახელმწიფომ არ ითავა, უარესი მოგველის. უკვე შეუძლებელია არათუ ზვრების დამუშავება, არამედ იქამდე მისვლაც. ზვრებში კი მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე...

ჩვენში მეტისმეტად მოუმზადებლად, უფრო მეტიც, მოუფიქრებლად დავიწყეთ მიწის პრივატიზაცია. მიწას პირველ რიგში ტექნიკა და მისი სათადარიგო ნაწილები სჭირდება. რაც გვქონდა, განადგურდა და დაიტაცეს, ახალი აღარ შემოდის, ან სიძვირის გამო მისი ყიდვა ხელმიუწვდომელია. საწვავზე ვთქვი და მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ახლა დიზელის საწვავის ყიდვა ძვირადაც კი შეუძლებელია, რადგან არ შემოდის. არ მახსოვს თებერვალ-მარტის თვეებში ვენახები გაუსხვლელი დაგვრჩენოდეს. ახლა კი უსაწვავობის გამო მშრომელები ზვრებში ვერ წავგიყვანია. ბოლო წლებში სახნავ-სათესის დიდი ნაწილიც დაუმუშავებელი გვრჩება და ...საოცრად შემცირდა მარცვლეულის, საკვები კულტურების წარმოება. აღნიშნულს კი მოსდევს მეცხოველეობის განადგურება, დიახ, განადგურება. ვერავინ უარყოფს, რომ უკანასკნელ წლებში ბევრი ფერმა გაიყიდა, ბევრგან პირუტყვი გაიტაცეს, ან უსაკვებობის გამო მასობრივად დაიკლა და დაიხოცა. ათეული წლები დასჭირდება იმას, რომ მეცხოველეობა საქართველოში 1989 წლის დონემდე მაინც აღვადგინოთ. მაინც-მეთქი, იმად ვამბობ, ის დონე მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს და შემოტანილი ხორცის, ყველის, კარაქის, რძის ფხვნილის იმედად ვიყავით.

საქვეყნო ფიქრი

მიწის დაჩქარებულ პრივატიზაციას ჩვენში ზვრები საერთოდ შეეწირა და კვლავაც ეწირება. პრივატიზებულ მიწებზე ინერგება მავნე ტენდენცია — იკაფება ვენახი და გლეხები მასზე საზამთროსა და მარცვლეულს თესავენ. ეს საკითხი დიდ დაფიქრებას მოითხოვს. მრავალწლიანი ნარგავები, ვიმეორებ, რომლის გაშენებას დიდი კაპიტალური დაბანდება მოხმარდა, ასე ჰაიჰარად, უკუგების ანაზღაურებამდე მაინც არ უნდა გაგვეშვა ხელიდან. ახლა, სანამ ქვეყანა არ არის და მთელი ზვრები არ ამოიჩეხა, რაიმე უნდა ვიღონოთ. ღმერთმა ნუ წარმოგვიდგენინოს კახეთი უვაზოდ. ამაზე ჩვენი მტრები ოცნებობდნენ და ოცნებობენ, მაგრამ არ ეღირსათ. ახლა რაღა ღმერთი გვიწყრება. არადა, არავინ იფიქროს, გაჩეხილი ზვრების ნაცვლად ვინმე ახალს აშენებდეს. ახლახან გურჯაანის რაიონის კეჭის სანერგე მეურნეობაში გახლდით და გულსაკლავი ფაქტი შევიტყვე: მეურნეობიდან ქართველ კაცს ერთი ცალი ნამყენი ნერგიც არ გაუტანია და არ გააქვს. და ეს მაშინ, როცა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელები ვაგონებით ეზიდებიან და აშენებენ. ამის შემდეგ ნათელია, თუ რა დღეში აღმოჩნდება ახლო მომავალში ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობა, რომელიც აქამდე მთელ მსოფლიოში იყო განთქმული.

არავინ იფიქროს, რომ მიწების პრივატიზაციის წინააღმდეგი ვიყო. ეს სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთი გამოსავალი და სწორი გზაა, მაგრამ ამ საქმეში აშკარად ავჩქარდით. გლეხს მიწა კი მივეცით, მაგრამ სხვით ვერაფრით დავეხმარეთ, ცარიელი ხელით კი მას ვერავინ დაამუშავებს. არადა, ხომ ვიცოდით ჩინეთის რესპუბლიკის გამოცდილება: მათ, ვიდრე რეფორმას გაატარებდნენ, წინასწარ ერთი ხუთწლედი მოანდომეს მიწის მომავალ მფლობელთა ტექნიკით, საწვავ-საცხებით, ქიმიური ნივთიერებებით მომარაგებას და ჩინებული შედეგებიც მიიღეს. მარცვლეულის წარმოების მხრივ ჩინეთი მსოფლიოში მესამე ადგილზეა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო წარმოება ყოველწლიურად 3,4 პროცენტით იზრდება. ჩვენში კი მეტი ლაპარაკი და თითქმის არავითარი პრაქტიკული საქმე, შედეგს ყველა თვალნათლივ ვხედავთ.

ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა, თითქოს მიწის მოშორება თვითმიზანი იყო და ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა მოიხსნა, ეს დიდი ღონისძიება პროდუქციის სიუხვის შესაქმნელად კი არ იყო გამიზნული, არამედ თვალის ასახვევად, რომ იმ დილეტანტებს არ ჰქონოდათ ლაყბობის საბაბი. მიწის პრივატიზაციის შესახებ წელს საქართველოს რადიოთი მომიხდა გამოსვლა და, ცხადია, ეს საშიშროებანი მაშინაც გამოვხატე. იმასაც დავძენდი, რომ ჩვენ, უშუალოდ წარმოებაში დასაქმებულთ, მიწის პრივატიზაციაზე არაფერს შეგვეკითხნენ და ეს საკითხი ძველებურად კომუნისტური მეთოდებით ზევიდან გადაწყვიტეს. ზოგიერთი მუშაკის მიმართ ქება-დიდების ნიაღვარიც წარმოსდინდა მაღალი ტრიბუნიდან, აქაოდა, ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა დაარიგაო, მაგრამ ერთსაც არ უკითხავს: ვისზე, რამდენად სწორად და რა პირობებში გაიცა იგი, როგორ მუშავდება და ა. შ. განა ისეთმა ცოტამ მიიღო ჩვენში მიწა, რომელიც თავის სიცოცხლეში მას სათოფედ არ გაჰკარებია? განა ცოტა პრივატიზებული მიწა დარჩა შარშან დაუმუშავებელი და წელსაც ასევე მოელის?

რას იზამ, უკვე ყველაფერი მომხდარია, და ახლა პრივატიზაციის ტემპს ვეღარ შევაჩერებთ. მხოლოდ უნდა ვეძიოთ გამოსავალი, რათა გლეხკაცი ნამდვილად იყოს მიწის ღირსეული მფლობელი და პატრონი. ამიტომ ცნობილი სერიოზული სიძნელეების მიუხედავად მაინც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ქვეყნის მთელი რიგი ქარხნების, კერძოდ, ქარხანა „საქსოფლმანქანის", ქუთაისის ავტოქარხნის და სხვათა მოდერნიზაციის გზით შევძლოთ მცირეგაბარიტიანი ტექნიკის დიდი მოცულობით გამოშვება, რომელსაც ფასი ნორმალური ექნება და წელში არ გაწყვეტს ისედაც ილაჯგაწყვეტილ გლეხკაცს. ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანამ კი როგორმე უნდა გააფართოოს წარმოება. თუ ასეთი ტექნიკა ყველასთვის მისაწვდომი გახდება, შედეგებიც არ დააყოვნებს.

ამ შეჭირვების, შიმშილისა და სილატაკის პირისპირ დგომის ჟამს არ შეიძლება არ მივმართოთ ჩვენს მიერ არჩეულ ქვეყნის პარლამენტს. დრო არ იცდის, იგი ჩვენ არ გველოდება. პარლამენტარებს კი დღემდე ერთხელაც არ განუხილავთ სოფლის მეურნეობის პრობლემური საკითხები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამხანაგურ მეურნეობათა შესახებ ერთადერთ მსჯელობას. არადა, მათგან მოველით რეფორმების დაჩქარებასა და ქვეყნის შველას, მის გადარჩენას. ღმერთმა ქნას და, ჩვენი იმედი ამაო არ აღმოჩნდეს. დღემდე, ყოველ შემთხვევაში, ასე მოჩანს: სოფლის მეურნეობის დარგში ძირეული სასიკეთო გარდატეხა კი არა, მხოლოდ უკუსვლა იგრძნობა. ნუთუ არ უნდა იფიქროს პარლამენტმა იმაზე, რომ ყოველი მოუხნავი და დაუთესავი ჰექტარი, დაუმუშავებელი ბაღი და ხეხილი შიმშილის ტოლფასია? შიმშილი კი პარლამენტის ყველაზე დიდი ოპოზიციონერი იქნება.

რაკი პარლამენტზე ვლაპარაკობ, მაკვირვებს იქ გაუთავებელი მსჯელობა იარაღის თაობაზე. მე პირადად იარაღთან არაფერი მესაქმება, მაგრამ ერთი კი უნდა ვთქვა: რად სჭირდება პატიოსან კაცს იარაღი, რა თავში უნდა ვიხალოთ იგი, ვის საწინააღმდეგოდ უნდა გამოვიყენოთ? პირდაპირ ვიტყვი: ჯერჯერობით მას საბანდიტოდ, საყაჩაღოდ, ძმათა სისხლისღვრისათვის იყენებენ. ღმერთმა არ დაგვინდო, და ჩვენი უსაყვარლესი ბიჭები ფრონტზე იღუპებიან, მაგრამ თითქმის ერთი იმდენი ავაზაკების ხელით ადგილზე კვდება. შეიარაღებულმა ბანდიტებმა სოფლებში შეაღწიეს, დანავარდობენ და ჯერ მოსახლეობა და ფერმები გაძარცვეს, მერე ტრაქტორებიც გაიტაცეს, რომლითაც ახლა მიწას უნდა ვამუშავებდეთ. იარაღის შენახვა-გაფორმებაზე გაუთავებელ მსჯელობას პარლამენტს ურჩევნია იმაზე იმსჯელოს, რომ სოფელს უცბად თუ საკმარის მცირეგაბარიტიან ტექნიკას ვერ მივაწვდით, თოხი, ბარი, ცული, სახნისი, ნაჯახი, ნიჩაბი და ა. შ. მაინც მივაშველოთ, რომელიც თითქმის სანთლით საძებარი გახდა! ან იქნებ თურქეთში მისი გატანა მაინც აკრძალონ, თორემ, რაც გვაქვს, ისიც აღარ შემოგვრჩება...

მე იმ სატკივარისა და საწუხარის ერთობ მცირე ნაწილი გამოვხატე, რომელიც მოსვენებას უკარგავს სოფლის მშრომელებს, გაღატაკებულ და შიმშილის წინაშე მდგარ ადამიანებს. ამასთანავე ვლოცულობ „ღმერთო სამშობლო გვიცოცხლე". გადაარჩინე იგი შინაურ და გარეულ სატანას. ამ შემთხვევაში ჩვენი ხალხი დიდად აფასებს სახელმწიფოს მეთაურისა და ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის უდიდეს მოღვაწეობას, რომელმაც არა მარტო დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსია, არამედ ისიც, რომ ის თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი და მამულიშვილი, უშიშარი და შეუპოვარი გმირია. მეტისმეტად რთულ ვითარებაში, სამშობლოს განსაცდელის ჟამს იგი ვაჟკაცურად გაეჭრა ფრონტის წინა ხაზზე, ჩვენს მამაც მებრძოლებსა და მეთაურებში კიდევ უფრო განამტკიცა სამართლიან ომში გამარჯვების განწყობილება და სულისკვეთება. ამის შემდეგ მათ ძლიერსა და ცბიერ მტერს დიდი დარტყმა და მარცხი აგემეს. ჩვენი სოფლის მშრომელების დავალებით შევღაღადებ ყველას, მთელ საქართველოს, ერსა და ბერს, დიდსა და პატარას გავერთიანდეთ და ერთ მუშტად შევიკრათ, აღვგავოთ პირისაგან მიწისა ისინი, ვინც ცდილობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ან შინაური აშლილობის დამკვიდრებას, ქარხნის საამქროებსა და მინდვრებსა და პლანტაციებში თავდადებული შრომით, ურთიერთსიყვარულით და პატივისცემით უნდა უზრუნველვყოთ ქვეყნის აღორძინება. შეცდომების დაშვების უფლება უკვე აღარ გვაქვს, ის ისედაც საკმაოდ დავუშვით. ჩვენი ნათელი მომავალი ჩვენვე უნდა ვაშენოთ. ეს პირველ რიგში ქართული სოფლის აღორძინებაა, სურსათისა და სანოვაგის დახვავებაა. ქვეყანა სოფლით არის ძლიერი.

საუბარი ჩაიწერა
დავით ბიწაძე.

კომპლექსი პარლამენტისათვის

თითქმის წელიწადია, რაც თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, მიმდინარეობს სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები, რათა უმოკლეს ვადაში დაუბრუნდეს ადრინდელი იერსახე იმ შენობას, რომელიც ცნობილია, როგორც მთავრობის სახლი. დღეს გამოკვეთილად ვხედავთ, თუ რა კეთდება: აღდგენილია დაზიანებული სვეტები, წარმოებს მუშაობა შენობის ფასადის აღსადგენად და სხვა.

მაგრამ ისიც ცხადია, თუ რა დიდი მოცულობის სამუშაოა შესასრულებელი. სხვათა შორის, მთავრობის სახლი არქიტექტურული თვალსაზრისით მიეკუთვნება ყოფილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ნაგებობათა რიცხვს.

ამას წინათ საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც მთავრობის სახლის კომპლექსი გადაეცა საქართველოს პარლამენტს. ამით გადაწყდა, რომ ამ შენობაში მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტი დაიდებს ბინას.

— საქართველოს პარლამენტის განახლებულ შენობაში განთავსებასა და მისთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნასთან დაკავშირებით რა ღონისძიებებია დაგეგმილი? — ასეთი შეკითხვით მივმართეთ პარლამენტის აპარატის უფროსს ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილს.

— ზოგიერთს, შესაძლოა, პარლამენტისათვის დიდიც კი მოეჩვენოს ეს შენობა, რადგან ჩვენში ჯერაც გამჯდარია საბჭოური პერიოდის სტერეოტიპები. გახსოვთ, ალბათ, იმდროინდელი უმაღლესი საბჭო წელიწადში მხოლოდ ორჯერ იკრიბებოდა — საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე და დეპუტატობა მეტწილად საპატიო წოდება იყო. დღევანდელი პარლამენტი კი მუდმივმოქმედი ორგანოა, მასში აქტიურად საქმიანობენ კომისიები, ფრაქციები.

პარლამენტში 17 მუდმივი კომისიაა. ისინი მუშაობენ კანონპროექტებზე, მათ განხილვაში მონაწილეობენ არა მარტო პარლამენტის წევრები, არამედ სპეციალისტები, მეცნიერები, დაინტერესებული პირები. პრაქტიკიდან გამომდინარე, კომისიის სხდომას 50 კაცზე მეტი შეიძლება დაესწროს. ამიტომაც არის საჭირო რამდენიმე დარბაზი.

ამის მიუხედავად, ხშირად ჩვენ მოწმენი ვართ, რომ პარლამენტარები ბევრ დროს კარგავენ დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებაზე.

— გეთანხმებით. ეს ხდება იმიტომ, რომ უშუალოდ კომისიაში უნდა დაიხვეწოს კანონპროექტი და ისე უნდა წარედგინოს პარლამენტის პლენარულ სხდომას. თუკი მოსამზადებელი „შავი“ მუშაობა გეგმაზომიერად წარიმართება კომისიებში, მაშინ პლენარულ სხდომებზე ნაკლები ვნებათა ღელვა იქნება. სამწუხაროდ, ასეთი დაგეგმილი მუშაობა დღეს პარლამენტის საქმიანობაში არ იგრძნობა, რაც სხვა, ხელის შემშლელი ფაქტორების გარდა, სამუშაო პირობების, ძირითადად ოთახების, დარბაზების უქონლობამაც განაპირობა.

— რა სურათი გვაქვს დღეს?

— პარლამენტის კომისიების დიდი ნაწილი ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაშია განთავსებული, იქვე ტარდება პარლამენტის სხდომებიც. თითო კომისიას, რომელშიც მინიმუმ 10 წევრია გაერთიანებული, ერთი პატარა ოთახი აქვს გამოყოფილი, ზოგჯერ კი ორ კომისიაზე ერთი ოთახი მოდის. პარლამენტის წევრები არც ტელეფონებით არიან განებივრებულნი. ასეთ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი შრომის ნაყოფიერებაზე.

პარლამენტის წევრი, რომელიც სამუშაოზე უნდა ცხადდებოდეს დილის 9 საათზე, როგორც ჩვეულებრივი სახელმწიფო დაწესებულების მოხელე, ზოგჯერ საერთოდ არ მოდის, ვინაიდან მას არათუ სამუშაო კაბინეტი, არამედ სკამიც არ გააჩნია. საერთაშორისო პრაქტიკა კი იმას გვკარნახობს, რომ პარლამენტის წევრს საკუთარი სამუშაო ოთახი უნდა ჰქონდეს.

აქტუალური ინტერვიუ

ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობა არ აუშენებიათ სახელმწიფო დაწესებულებისათვის. აქ იგრძნობა სამუშაო ფართობის ნაკლებობა და ასეთ შენობაში პარლამენტის და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის განთავსება ყოვლად შეუძლებელია.

— თქვენი აზრით, პარლამენტის განთავსებისათვის მხოლოდ ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობა თუ ივარგებს?

— დიახ.

— როგორც ცნობილია, ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობაში ერთი წელია მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ, ალბათ, მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

— გეთანხმებით, რომ არა საქმისადმი გაუგებარი მიდგომა, მშენებლობის გეგმით დღეს სამუშაოები დამთავრებული იქნებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ ზოგი შენობას დანგრევით ემუქრებოდა, ზოგი კი მისი ბიზნესის და ვაჭრობის ცენტრად გადაკეთებას ცდილობდა. არავის უფიქრია პარლამენტისათვის. გამოკვეთილად რომ ეთქვათ, შენობაში პარლამენტი უნდა განთავსდესო, ეს საქმეს გაუადვილებდა როგორც არქიტექტორებს, ისე მშენებლებს. მხოლოდ გასული წლის არჩევნების შემდეგ დაიწყო სერიოზული მსჯელობა უზენაესი საბჭოს ყოფილი შენობის პარლამენტისათვის გადაცემის თაობაზე. დროზე რომ მივხედა ამ საქმისათვის, დღეს არსებულ არაორგანიზებულობას თავიდან ავიცილებდით.

— და მაინც როგორ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები?

— არცთუ კარგად. იგრძნობა საშენი მასალების უკმარისობა. მშენებლებიც ნელა ირჯებიან, ვერც დამკვეთი იჩენს საჭირო აქტიურობას. თუ ასე გაგრძელდა, შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია არ დამთავრდება იმ ვადებში, რაც მინისტრთა კაბინეტის ა. წ. თებერვლის დადგენილებაშია ასახული. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ამ დოკუმენტში მოხსენიებული ვადები დავიცვათ.

— თუ შეიძლება, დავაკონკრეტოთ.

— გეგმის მიხედვით მშენებლობა წელს, სექტემბერში, უნდა დასრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტის მუშაობა საგრძნობი ხარვეზებით წარიმართება. ხელი შეეშლება სახელმწიფოს მეთაურის აპარატის საქმიანობასაც, და თუ რას გამოიწვევს ეს — ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია.

— იქნებ მასალების უქონლობაა ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი?

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ მაინც იმ აზრისა ვარ, რომ უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორია დაუდევრობა, არაორგანიზებულობა. სხვაგვარად როგორ შევაფასოთ ის, რომ დღეს, როდესაც გარეთ გაზაფხულია და ახლა მაინც ხელდაკაპიწებულად უნდა მუშაობდნენ, პრაქტიკულად თითო-ოროლა მშენებელს თუ მოკრავ თვალს დღის განმავლობაში.

— მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ ნანატრი დღე მალე დადგება. ოდნავ მოვიშველიოთ ჩვენი ფანტაზია და ვაუწყოთ მკითხველებს, თუ როგორი იქნება განახლებული ე. წ. მთავრობის სახლი, ანუ პარლამენტის შენობა.

— ყველაფერს რა ჩამოთვლის. რეკონსტრუქცია შეეხო უმთავრესად შიდა არქიტექტურას. მაგალითად, მთლიანად განახლდება სესიის სხდომათა დარბაზი, ის აღიჭურვება თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკით. გათვალისწინებულია საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციების მისაღები დარბაზი, უცხოეთის ელჩების რწმუნებათა სიგელების გადასაცემი დარბაზი, და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს მშენებლების გარჯაზეა დამოკიდებული. ვიმედოვნებ, რომ ისინი არ შეგვარცხვენენ.

ინტერვიუ ჩამოართვა
ოლეგ კევლიშვილმა.

საქონლის ფასები დამრგვალდება

საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების შემოღებასთან დაკავშირებით ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ამა წლის 8 აპრილიდან ყველა სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების დამრგვალების შესახებ.

ფასების დამრგვალების მექანიზმს გვიხსნის ზემოაღნიშნული სამინისტროს ხელმძღვანელი **მურთაზ ზანკალიანი.**

— იმის გამო, რომ ყველაზე წვრილი ხურდა ფული 5-მანეთიანია, — თქვა მან, — საქონლის ფასები ამ ვარაუდით განისაზღვრება: თუ ნივთი 2 მანეთსა და 50 კაპიკზე ნაკლები ღირს, იგი გაიყიდება კომპლექტის სახით, რათა მისმა ღირებულებამ 5 მანეთი შეადგინოს. განვიმარტავთ ამას მაგალითით. თუ ერთი ღილი ღირს 50 კაპიკი, მისი ყიდვა უკვე შეიძლება არა ცალობით, არამედ ერთად ათი ცალი. თუ საქონლის ფასი ხუთ მანეთს აღემატება და 7 მანეთსა და 50 კაპიკს აღწევს, გაიყიდება ხუთ მანეთად, ხოლო თუ შვიდ მანეთსა და 51 კაპიკს შეადგენს — 10 მანეთად. 10 მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის ფასი ასეთივე ვარაუდით დამრგვალდება, ესე იგი 10 მანეთიდან 17 მანეთსა და 50 კაპიკამდე დამრგვალება შეადგენს 15 მანეთს, ხოლო 17 მანეთიდან და 51 კაპიკიდან — 20 მანეთს და ა. შ. ამჟამად საქონლის გადაფასება მიმდინარეობს საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების მთელ სისტემასა და მომსახურების სფეროში.

რა ღირს „ქართული პური“?

პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 აპრილის დადგენილების დანართი პურის საცალო ფასების შესახებ. მასში შეცდომითაა მოცემული „ქართული პურის“ ფასები. უმაღლესი ხარისხის 1000 გრამიანი პური 45 მანეთი (კუპონი) ეღირება, ხოლო ასეთივე ხარისხის 900 გრამიანი პური 35 მანეთი (კუპონი) ღირს.

მგზავრები მეტ მზრუნველობას იმსახურებენ

ქართველი რკინიგზელები შეუდგნენ მგზავრთა საზაფხულო გადაყვანის ორგანიზებულად მოწყობისათვის სამზადისს. თბილისის სამგზავრო სადგურში ვადაზე ადრე დასრულდა მგზავრთა მოსაცდელი დარბაზების, დედათა და ბავშვთა ოთახების, დამხმარე სათავსების შეკეთება.

სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები, სალიანდაგო და კავშირგაბმულობის დისტანციები, სხვა საწარმოები აღიჭურვა ახალი ხელსაწყოებით, რაც საშუალებას იძლევა დაჩქარდეს რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის შეკეთება და გადიდდეს მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი.

მაგრამ მომავალი სეზონისათვის მზადების საქმეში ნაკლოვანებებიც შეინიშნება. თბილისის საკვანძო სადგურში, რომელიც დღეღამეში 30-მდე სამგზავრო მატარებელს ემსახურება, მგზავრთა მოსაცდელ დარბაზებში და ტრანზიტად მიმავალთა დასასვენებელ ოთახებში მინები ჩამსხვრეულია, საწოლები დაბინძურებული, არ არის სასმელი წყალი.

ირაკლი ხვედელიძე,
ომისა და შრომის ვეტერანი

როდემდე?

ისევ დივერსია!

4 აპრილს, დილის 6 საათსა და 20 წუთზე კვლავ გაისმა აფეთქების ხმა მარნეულის რაიონში (უკვე მერამდენედ?!). დივერსანტებმა ამ დროს ყუმბარა ისროლეს რკინიგზაზე სადახლოსა და ბეუკასიკის გადასარბენზე და აჭყარეს ლიანდაგი. ზარალი მნიშვნელოვანია, მაგრამ იმარჯვეს რკინიგზელებმა, დაზიანებული რელსები და შპალები რამდენიმე საათში გამოცვალეს და აღადგინეს ნორმალური მდგომარეობა.

ეს ფაქტი რედაქციას აცნობა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრმა.

საოცარია ერთი რამ: მარნეულის რაიონი იქცა დივერსიის ბუდედ, სისტემატურად აფეთქებენ მოძმე სომხეთში გამავალ რკინიგზასა და გაზსადენს, რითაც ქვეყანას დიდი მატერიალური და მორალური ზიანი ადგება. ნუთუ ისე უსუსურნი არიან რაიონის ხელმძღვანელები, რესპუბლიკისა და რაიონის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, რომ ერთი შემთხვევაც ვერ გახსნეს და დივერსანტები კვლავ თავისუფლად დაპარპაშობენ?

5 აპრილს საღამოს 10 საათისათვის მოულოდნელად გაჩერდა ენგურჰესის ქვემო კასკადის რამდენიმე ვარდნილი ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც გამოიმუშავებენ დაახლოებით 40 მეგავატ ელექტროენერგიას. როგორც გაირკვა, ეს მოხდა დივერსიული აქტის შედეგად. უცნობმა პირებმა სცადეს გაეტაცათ რამდენიმე ასეული მეტრი სპილენძის მავთული. ამასთან, მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს შემთხვევის ადგილზე მოსულ ენერგეტიკოსებს. სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს რამდენიმე დღე დასჭირდება.

◆

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ 6 აპრილს ღამის 2 საათსა და 45 წუთზე გარდაბნის რაიონის სოფელ ულიანოვკაში დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს გაზსადენი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მოკლეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე

6 აპრილს ღამით რამდენიმე შეიარაღებული დამნაშავე გაძარცვის მიზნით შეიჭრა თბილისის ისნის რაიონში ხახანაშვილის ქუჩაზე მდებარე ს. ხაიმოვის ბინაში. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქის მორიგის თანაშემწემ ნუკრი ზულიაშვილმა აცნობა, ამ ოჯახში სტუმრად იყო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ორმოცდაოთხი წლის თამაზ კაცობაშვილი. დამნაშავეებმა დაჭრეს მასპინძელი და მოკლეს თ. კაცობაშვილი. გამოძიებას აწარმოებს ქალაქ თბილისის ისნის პოლიცია. ამ შემთხვევის გამო დაწვრილებითს ცნობებს მოგვიანებით გადმოგცემთ.

ვნებათაღელვა ჭადრაკის სასახლეში

გრძელდება 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ინგა ხურცილავა, მირანდა ხორავა, დიანა დარჩია და ნატო ეძგვერაძე.

პირველი წრის შემდეგ 2 ქულით პირველ ადგილზეა ინგა ხურცილავა.

იქვე მიმდინარე 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ჭაბუკთა მსგავს ასპარეზობაზე დაწინაურდა რუსთაველი ზურაბ იგრიაშვილი.

ევროპის სტადიონებზე

გადამწყვეტ სტადიაში შედის კონტინენტის მთელი რიგი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები და თასის გათამაშება.

იტალია. მორიგ ტურში „მილანი“ საკუთარ მინდორზე შესვენებამდე 0:2 აგებდა „ნაპოლისთან“. ლიდერი დამარცხებას გადაარჩინა ჯანლუიჯი ლენტინის ორმა ეფექტურმა დარტყმამ — 2:2. ამასობაში „ინტერმა“ გენუაში გაიმარჯვა „სამპდორიასთან“ — 3:1 (2 ბურთი სალვატორე სკილაჩიმ გაიტანა) და თანაგუნდელებთან სხვაობა 7 ქულამდე დაიყვანა.

ჩოგანი

ესპანეთი. ლიდერთა ტრიომ ამ დღეს უდანაკარგოდ ითამაშა: „ბარსელონა“-„ლოგრონიესი“ — 3:0, „რეალი“-„სარაგოსა“ —4:0. „სპორტინგი“—„დეპორტივო“ — 0:1. 28 ტურის შემდეგ სტატუსკვო სატურნირო ცხრილში არ დარღვეულა: „ბარსელონა“ — 44 ქულა, „რეალი“— 42 ქულა, „დეპორტივო“ — 41 ქულა.

გერმანია. ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო „ბაიერნმა“, ამჯერად „ვატენშაიდთან“ — 0:2. ამან შესაძლებლობა მისცა „ვერდერს“ „კაიზერსლაუტერნთან“ წარმატების შემდეგ —1:0 დასწეოდა მიუნხენელებს — ორივეს 34-34 ქულა აქვს. მათ 3-3 ქულით ჩამორჩებიან დორტმუნდის „ბორუსია“ (მან „კიოლნი“ გაანადგურა — 4:1), „აინტრახტი“ (კახი ცხადაძის კლუბი) და „ლევერკუზენი“.

ინგლისი. 15 მაისს ქვეყნის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ლონდონის უემბლის სტადიონზე გამოვლენ „შეფილდ უენსდეი“ და ლონდონის „არსენალი“. გთავაზობთ ნახევარფინალური მატჩების შედეგებს: „შეფილდ უენსდეი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ — 2:1, „არსენალი“ — „ტოტენჰემი“ — 1:0.

შოტლანდია. „აბერდინი“ და „გლაზგო რეინჯერსი“ — ასეთი გახლავთ შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალური წყვილის შემადგენლობა. მათი დუელი 15 მაისს შედგება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

როცა სოფელ-ქვეყანას უჭირს...

სიღნაღის რაიონის ხირსის ღვინის ქარხანამ ეროვნული თავდაცვის ფონდში მილიონი მანეთი გადარიცხა. ქარხნის დირექტორმა თენგიზ ტაბატაძემ კი თორმეტი ათასი მანეთი საკუთარი დანაზოგი შეიტანა ფონდში. ამ გაჭირვების ჟამს ქარხანამ გადაწყვიტა ხირსელ მშრომელებსაც დაეხმაროს. კერძოდ, წნორის ავტოსატრანსპორტო საწარმოსაგან იქირავა ავტობუსი, რომელიც გლეხობას ვენახებში უფასოდ მიიყვანს, საღამოთი კი შინ მოაბრუნებს. ქარხანამ დაიქირავა კიდევ ერთი ავტობუსი, იგი უფასოდ ჩაიყვანს წნორში ხირსის, ტიბაანის და სხვა სოფლების მშრომელებს.

ვახტანგ გოზალიშვილი.

შემოსული თანხით ექსპონატებს აღადგენენ

მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ფირმა „მამულის“ ინიციატივით შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. აქ წარმოდგენილი იყო ფერწერა, მინანქარი, დეკორატიული თექა, გობელენი, ნაქარგობა, ძვირფასი ოქრომჭედლობა, მცირე პლასტიკა, ბატიკა.

გამოფენაზე გაეცნობით ხალხური ხელოვნების ოსტატების ნიმუშებს, მნიშვნელოვანწილად რომ დაიკარგა ან დაკარგვის პირას მივიდა.

— ხელოვნების მუზეუმის ბაზაზე, — გვიამბობს მუზეუმის ხელოვნების მეცნიერული პოპულარიზაციის განყოფილების გამგე ქალბატონი ცისანა კუხიანიძე, — ყალიბდება ხალხური ხელოვნების სტუდია, რომლის პედაგოგები უკვე შევკრიბეთ და მაისიდან ვაწყობთ კონკურსს. სექტემბრიდან კი ფუნქციონირებას დაიწყებს.

დღეს გამოფენაში მონაწილეობენ ძირითადად მომავალი სტუდიის პედაგოგები, მაგრამ არიან სტუმრებიც, საკუთარი სურვილით რომ მოვიდნენ.

გამოფენა გახსნა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა პროფესორმა ნოდარ ლომოურმა. ვერნისაჟზე გამოვიდნენ მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის პრეზიდენტი აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი, ამავე ფონდში შემავალი ფირმა „მამულის“ გენერალური დირექტორი ვაჟა ნარიმანიძე, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება „ლავრის“ პრეზიდენტი ლავრი ფირცხალაიშვილი.

გამოფენაზე წარმოდგენილია 24 ავტორის ნამუშევარი, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული, საინტერესო თემები აურჩევიათ.

კეთილშობილურია გამოფენის მომწყობთა ინიციატივა. შემოსული თანხა მოხმარდება მუზეუმში დაცული ექსპონატების რესტავრაცია-აღდგენას.

იზა ჯაჭვაძე.

„პარტნიორი“ პარტნიორს ეძებს

რესპუბლიკაში შეიქმნა თავისუფალ სოფლის მეწარმეთა კავშირი „პარტნიორი“. იგი გლეხურ მეურნეობებს, ფერმერებს, საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელებს დაეხმარება შესაბამისი ინვენტარით, შხამქიმიკატებით, საწვავით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით უზრუნველყოფაში, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის.

„პარტნიორი“, რომელსაც უფლება აქვს აწარმოოს ბარტერული, ბროკერული ოპერაციები, მარკეტინგი, პროდუქციის რეალიზაცია, ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას მიჰყიდის შეღავათიანი ფასებით. თავისუფალ სოფლის მეწარმეთა კავშირში მიიღებიან ფერმერები, სოფლის კოოპერატივთა, სპეციალიზებულ საწარმოთა წევრები.

„პარტნიორმა“ გახსნა პირადი ანგარიში სააქციო კომერციულ ბანკში „კავკასიის ბანკი“, რომლის ანგარიშის ნომერია 609008 მფო 522782. საკორესპონდენტო ანგარიშის ნომერი — 70016100. ბანკის მისამართია: 380086, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 72.

კავშირის ოფისი მდებარეობს მ. კოსტავას ქუჩაზე, 41. ტელეფონები: 36-32-17, 95-25-74.

სპონსორებო: ყურადღება მიაქციეთ!

სამშობლოს დაძახილზე...

ხარაგაულის რაიონის საკრებულომ აფხაზეთში არსებული რთული ვითარების გამო, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ბრძანების თანახმად, შექმნა ოპერატიული შტაბი, რომელსაც რაიონის გამგებელი ნ. იმნაიძე ხელმძღვანელობს.

შტაბმა დასახა ღონისძიებები რეზერვისტების გაწვევისათვის.

სპეციალური დანიშნულებით აფხაზეთში უკვე გაიგზავნა ათეულობით მებრძოლი.

ყალიბდება ხარაგაულის ბატალიონი, რომელშიც ბევრი ახალგაზრდა ჩაეწერა.

მკაცრი ღონისძიებები ტარდება იმათ მიმართ, ვინც თავს არიდებს ეროვნულ არმიაში სამსახურს.

ჰენრი შარიძაძე.

ახალი ფილმი

„აუცერით...“ ერის ინტელექტს

მედიცინაში, ამა თუ იმ დაავადების მიმართ იმუნიტეტის გამომუშავების მიზნით, ჯანმრთელ ორგანიზმში ამ დაავადების გამომწვევი მიკრობი შეჰყავთ მცირე დოზით, რათა ორგანიზმმა მოსალოდნელი ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად ანტისხეულები გამოიმუშაოს...

...გია ჭუბაბრიას ახალი ფილმი „გზა თავისუფლებისაკენ?“ სწორედ მსგავს ვაქცინად შეიძლება გამოვიყენოთ ქართველებმა, ყოველთვის, როცა ბოროტისა და კეთილის მარადიულ ბრძოლაში ბოროტის სიჭარბეს დავაფიქსირებთ.

„განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტების ქმნა... სიკეთის ქმნა ისწავლეთ“... ამ სიტყვებით იწყება ეს მცირე ფილმი, რომელიც 1991 წლის 22 დეკემბრიდან, 1992 წლის 7 იანვრამდე თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე ომზე მოგვითხრობს, უფრო სწორად, ომის შედეგზე, და კიდევ იმაზე, „არარსებული მტრებიდან ნამდვილი რომ გამოინასკვა და ძმათა ომისკენ მოგვიხმო“...

...თითქოს სათქმელი არახალია, კადრებიც ათასგზის ნანახი და განცდილი... ისევ ის სილამაზეჩამოგლეჯილი, გადამწვარი რუსთაველი... ნატყვიარი რუსთაველის თეატრი... ქაშვეთი... მიყრილ-მოყრილი ნამუსრევი მთავრობის სასახლის წინ... ტყვიით ტოტებდაჭრილი ჭადრები... ილიას და აკაკის ძეგლზეც ნატყვიარები... ნატყვიარი ჩვენი სულები... იმდენად შემზარავია ეს ათასმეერთე „გასეირნება“ რუსთაველზე, რომელიც ბატონმა გიამ შემოგვთავაზა ამჯერად, რომ ღია ჭრილობაზე მარილის დაყრას ჰგავს. როგორც არასდროს, გრცხვენია საკუთარი თავისა...

...ფილმის პრეზენტაციაზე, რომელიც სამწუხაროდ, კინოს სახლის მცირერიცხოვან დარბაზში შედგა, რეჟისორის უახლოესმა მეგობრებმა მოიყარეს თავი. ერთმა ქალბატონმა ფილმის ნახვის მერე მსუბუქი საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ რეჟისორმა დამნაშავის კონკრეტიზაციაზე უარი თქვა, არ მიგვითითა მასზე... იმავე ქალბატონმა იკითხა გაკვირვებით: — „ქართველმა ხალხმა როგორ გაიგოს, ვინ დაანგრია რუსთაველი, როცა ტანკებს, ორივე მხარეს, ქართული დროშები ეკეთათო?“ დიახ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ქართველებმა წამოვიწყეთ ასეთი ომი და წამოქცეული საქართველოს თავზეც ქართული დროშა ფრიალებდა, დამნაშავეც ქართველები ვართ, თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად.. რეჟისორმაც ერთ ხელზე მსხვერპლი საქართველო და მეორეზე — დამნაშავე საქართველო დაგვიდო საჭიდაო ქვად. ამიტომაცაა, არცერთ მხარეს დგომის სურვილი რომ არ გიჩნდება მაყურებელს... ასე, რომ ეს ფილმი უპოზიციობით ვერ დაიწუნება, ვერც იმით, რომ ათასგზის ნატკენ გულს ათასმეერთედ გვტკენს ისევ. პირიქით, ეს ერთი კარგი ქართველის გულიდან წამოსული ტკივილია, რომელიც ყველამ უნდა გავითავისოთ.

ცხოვრება ავად თუ კარგად გრძელდება და ჭიდილიც სიკეთისა და ბოროტებისა, — მასთან ერთად. ამიტომ ისტორია კიდევ ერთხელ რომ არ განმეორდეს „აუცერით“ ამ ფილმით ერის ინტელექტს, უჩვენეთ ის გამოზომილი ინტერვალებით მთელს საქართველოს, რათა არასდროს აღარ იყოს „მამა ძის წინააღმდეგ და ძე მამის წინააღმდეგ: დედა ასულის წინააღმდეგ და ასული დედის წინააღმდეგ: დედამთილი თავისი რძლის წინააღმდეგ და რძალი — დედამთილის წინააღმდეგ“ — აღარასოდეს რომ არ აღსრულდეს ეს წინასწარმეტყველება ჩვენს ისედაც მრავალტანჯულ მიწაზე.

ფერიდე ბიწაძე.

• • •

P.S. ბატონმა გია ჭუბაბრიამ ისედაც უარყოფითი ემოციებით სავსე მაყურებელს კიდევ ერთი მძიმე ემოცია რომ დაუმატა თავის! ფილმში იზრუნა მასზე და მეორე ფილმად შესთავაზა. უკვე გახმაურებული „ჟამი შეკრებად ქვათა“. ჩვენი სახელოვანი წარსულის მოხმობით კიდევ ერთხელ შეგვახსენა ჩვენი სადაურობა და ჩვენი სამომავლო გზა...

სანთელი

სად აღუფხვრი სადით ძირსა?

მე ბევრი მინახავს უცხოეთში გადახვეწილი ანდა სამშობლოში დარჩენილი გულწრფელი ქართველი პატრიოტი, მაგრამ ისინი თითქმის ყველანი მათდაუნებურად მაინც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შემთავსებელი“, „არაპროფესიონალი“, „დილეტანტი“ პატრიოტები იყვნენ, ე. ი. მათ ჰყავდათ ოჯახი, ცოლ-შვილი, ჰქონდათ, ამას გარდა, საყვარელი საქმე, თავიანთი ცხოვრების მონაკვეთებსა და პერიოდებში ისინი თითქოს „ივიწყებდნენ“ სამშობლოს და პირადულ ცხოვრებასაც უხდიდნენ ხარკს...

ბატონი ნიკოლოზ ჯანელიძე იყო „პროფესიონალი“, „მონისტური“, „არაშემთავსებელი“ პატრიოტი — ეს იყო მისი სპეციალობა, მისი პროფესია — სხვა პროფესია და სპეციალობა მას არ ჰქონდა. იგი ხარობდა და ლხინს ეძლეოდა, გლოვობდა და მწუხარებდა ყოველთვის და უკლებლივ სამშობლოს „კონტექსტში“. ამ მხრივ მას თითქოს „ბედიც“ ხელს უწყობდა: არასოდეს ჰყოლია არც ცოლი და არც შვილი. მთელი თავისი სიცოცხლე შეალია გერმანიაში ქართული კულტურის, ქართული ენის, ქართული ხელოვნების გერმანელებისათვის გაცნობისა და შეყვარების საქმეს.

გერმანიაში ხანგრძლივი ყოფნისას მას არც ბიზნესზე უფიქრია და არც ფულის შოვნაზე, ვერც ქონება ვერ დააგროვა და ვერც კაპიტალი — რასაც შოულობდა თავის წამგებიან გამომცემლობაში, რომელსაც პროგრამულ-თემატური სახელწოდება ჰქონდა — „საქართველო“, წიგნებად აქცევდა ხოლმე (უსახსრობის გამო მან მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო თავისი გეგმების განხორციელება). ბატონი ნიკოლოზი „მანიმეიკერის“ სრული ანტიპოდი იყო; მატერიალური მხრივ, რასაც ხელს მოკიდებდა, ყველაფერში ზარალობდა. მაგრამ სამაგიეროდ მთელს პატარა ქალაქ იცებოს, რომელიც ჩრდილოეთ გერმანიაში ჰოლშტაინის მხარეში მდებარეობს, შეაყვარა საქართველო და ქართველები.

...ხშირად ახსენებდა ბატონი ნიკო თავის წერილებში თავის „დედიკოს“, რომელსაც აღმერთებდა (მამა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილა). მისი თხოვნით ამ ათიოდე წლის წინათ საგანგებოდ მოვინახულე ბატონი ნიკოს მოხუცი დედა. სათნო, ღვთისნიერი მანდილოსანი, ქ-ნი ივდითი. საყვარელი ვაჟის ნატვრაში დალია სული რამდენიმე წლის წინათ.

საქართველოს ხსენებაზე ბატონ ნიკოს აკანკალებდა, მაგრამ იმდენად აღმოუფხვრელი და გამძლე აღმოჩნდა სტალინის შავბნელი დროიდან შემორჩენილი შიში, რომ ბატონი ნიკოლოზი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ვერ ბედავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფეხის შემოდგმას.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ ბატონმა ნიკომ დააინტერესა საქართველოთი თანამედროვე გერმანიის ისეთი უმნიშვნელოვანესი მწერლები, როგორებიც არიან გიუნტერ გრასი და ზიგფრიდ ლენცი — ჰაინრიხ ბიოლის გარდაცვალების შემდეგ გერმანიის ყველაზე დიდი პროზაიკოსები.

სამტრედიაში დაბადებული, რიონის პირას გაზრდილი იმერელი ბიჭი ბედმა შორეულ გერმანიაში გადაისროლა და საბოლოოდ იქ აღესრულა დღენიადაგ საქართველოზე მლოცველი, სამწუხაროდ, უძიროდ და უძეოდ გადაგებული ბატონი ნიკოლოზ ჯანელიძე.

სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი შოთას აფორიზმი:

„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა?“

8 აპრილს იცებოს გერმანულ მიწაში სამარადჟამო განსასვენებელი ჰპოვა ბატონ ნიკოლოზ ჯანელიძის ნეშტმა.

ნოდარ კაკაბაძე.

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!
"თბილკომბანკი" "TBILCOMBANK"

სადეპოზიტო სერთიფიკატები ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ეფექტურად დაიცავს თქვენს დანაზოგს ინფლაციისაგან.



დარიცხული პროცენტები გაიცემა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით სერტიფიკატების ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენის შემთხვევაში.

სერთიფიკატების მინიმალური ღირებულებაა 10 000 მანეთი.

"თბილკომბანკი" აწარმოებს გადმორიცხვებს რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში.

"თბილკომბანკი"-ს რეკვიზიტებია: ა/ნ N700161513 საქ. ეროვნული ბანკი, მფო 522867
მისამართი: თავისუფლების მოედანი ზ.დადიანის ქ. N2 (მე-3 სართული).
ტელ. 98-53-07; 98-47-70.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების საყურადღებოდ!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 1993 წლის მეორე ნახევრისათვის ხელმოწერის ჩატარების მიზნით 15 აპრილამდე წარმოგვიდგინოთ რესპუბლიკურ კატალოგში შესატანი ცვლილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი გამოცემა არ გავრცელდება ხელმოწერით.

ჩვენი მისამართია: 9 აპრილის ქ. № 2, მე-5 სართული, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

საქართველოს წყლების სახლი
GEORGIAN WATER HOUSE

აქციონერთა საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება „საქართველოს წყლების სახლმა“ დაიწყო აქციების გაცემა.
ჩვენი მისამართია: დუტუ მეგრელის ქ. № 1 (ბარათაშვილის აღმართი, „გეოლოგის სახლი“).

ნება მოგვეცით, თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირს, რომელთაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის მწუხარება თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძის გარდაცვალების გამო.

თამაზ შავგულიძის ოჯახი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434